საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 11.

ქ.თბილისი

11.07.2011

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:

იოსებ სალუქვაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ძოწენიძე - საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის აღმასრულებელი საბჭოს წევრი;
რუსუდან ტყეშელაშვილი - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;
კონსტანტინე ნანობაშვილი - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;
დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის" დირექტორი;
ანა კლდიაშვილი - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის, რესტავრაციისა და თეორიის ფაკულტეტის სრული პროფესორი.

საბჭოს თავმჯდომარე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, შპს - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სრული პროფესორი, - კახი ყურაშვილი - სხდომას შემოუერთდა მესამე საკითხის განილვის დროს.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:
ნანა ჭიღლაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;
გიორგი მიქაძე - ცენტრის სტრატეგიული განვითარებისა და მართვის სამსახურის უფროსი;
რევაზ ხოფერია - ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის მოადგილე;
სალომე ფრუიძე - ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
თამარ შუდრა - ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ლაშა მარგიშვილი - ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ბექა ძამაშვილი - ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ლიკა გიორგაძე - ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ნინო ბეგიაშვილი - ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი.

ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს - „განათლების“ დირექტორი - ქეთევან გოშხეთელიანი;
შპს - „აისის“ დირექტორი - იანა ტორჩინავა;
შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „მიმის“ დირექტორი - ნინო ბერძენიშვილი;
შპს - თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის მოადგილე - დავით ყვავაძე და კანცელარიის უფროსი - ნაზო წიბლიაშვილი;
შპს - ქუთაისის სამედიცინო სკოლის დირექტორი - იოსებ კაჭახიძე;
შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი - თეიმურაზ ქორიძე;
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი - გიორგი ღავთაძე;
შპს - საქართველოს ეროვნულ სოციალურ-ტექნოლოგიური უნივერსიტეტის რექტორი - გიორგი ჭინჭარაული.

ავტორიზაციის ექსპერტები:
ნელი ნასყიდაშვილი;
ლევან მადათოვი;
ლიანა კობესაშვილი;
ციური დურული;
კახაბერ ერაძე;
მარინა გედევანიშვილი;
ელენე გვენცაძე;
ლელა ქელბაქიანი;
დავით ბოსტოღანაშვილი;
ქეთევან ინანაშვილი;
მიხეილ ტეფნაძე;
მარიამ დარბაიძე.

პირველი ორი საკითხის განხილვის დროს საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის გამო სხდომას უძღვებოდა თავმჯდომარის მოადგილე - იოსებ სალუვაძე. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ სხდომა გახსნა 19[25] სთ-ზე და შეამოწმა კვორუმის არსებობა. იოსებ სალუქვაძემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
საბჭოს მდივნის, გაიანე სიმონიას, არყოფნის გამო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მდივნის ფუნქციების შესრულება დაავალა საბჭოს წევრს - ანა კლდიაშვილს.
თავმჯდომარის მოადგილემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარის მოადგილემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:
1. შპს - „განათლების“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - „აისის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „მიმის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - ქუთაისის სამედიცინო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. შპს - საქართველოს ეროვნული სოციალურ-ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარის მოადგილემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ პირებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ყოფილა. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა დღის წესრიგი.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ შპს - „განათლების“ დირექტორს, ქეთევან გოშხეთელიანს, მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

1. შპს - „განათლების“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - „განათლების“ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ჯგუფის წევრმა დავით მაკარიძემ, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემულ უარყოფით შეფასებებზე:

1. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით:

1.1 სკოლაში საკლასო ოთახებს აქვს ბუნებრივი განათება, გამონაკლისია ერთი საკლასო ოთახი, რომელშიც, მიუხედავად იმისა, რომ არის 2 ფანჯარა, არ არის საკმარისი ბუნებრივი განათება.
1.2 სამკითხველო დარბაზად გამოიყენება ბიბლიოთეკაში არსებული კომპიუტერების მაგიდები, ასევე მე–2 სართულზე არსებული კომპიუტერული კლასი.
1.3 დაწესებულებას 739,27 კვ.მ. საერთო ფართიდან 34 კვ.მ ქვეიჯარით ფიზიკურ პირზე აქვს გადაცემული, სადაც განთავსებულია სამზარეულო, ამიტომ ეს ფართი არ უნდა ჩაითვალოს საერთო ფართში, მოსწავლეთა რაოდენობის გამოთვლისას.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ჰკითხა მომხსენებელს, რა კრიტერიუმის გამოყენებით მოხდა შეფასება იმისა, რომ ბუნებრივი განათება არ იყო საკმარისი. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ოთახში იყო ორი ფანჯარა, მაგრამ მომიჯნავე შენობის სიახლოვისა და ფანჯრის სიმცირის გამო განათება არ იყო ისეთი, როგორიც სხვა ოთახებში.

საბჭომ მიიჩნია, რომ სტანდარტების არარსებობის პირობებში ვერ მოხდებოდა იმის განსაზღვრა, რა სახის განათებაა საკმარისი. საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ მთავარია, ბუნებრივი განათების პირობებში შესაძლებელი იყოს წიგნის წაკითხვა. იოსებ

სალუქვაძის აზრით, ხშირად სამშენებლო ნორმები არ არის დაცული, თუმცა ამის გამოსასწორებლად არსებობს ხელოვნური განათება.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

მეორე შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ სამკითხველო დარბაზის სიდიდის გაზრდის მიზნით დაგეგმილია ბიბლიოთეკის მიმდებარე საკლასო ოთახის გამოყოფა. ამჟამად ბიბლიოთეკის ფართობი არის 32 კვ.მ., რასაც დაემატება მიმდებარე საკლასო ოთახის ფართი.

საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ ნამყოფია ამ სკოლაში და მოსწავლეთა მცირე რაოდენობის გამო ინფორმატიკის ოთახი ადვილად ყოფნის როგორც ინფორმატიკის გაკვეთილების ჩატარებას, ასევე სამკითხველოს ფუნქციის შესასრულებლად.

საბჭოს წევრი ანა კლდიაშვილი დაინტერესდა, კომპიუტერების მაგიდებზე მხოლოდ კომპიუტერები დგას, თუ არის მაგიდები, სადაც კომპიუტერები არ დგას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კომპიუტერების მაგიდების გარდა ოთახში არის კიდევ სამი მაგიდა. კომპიუტერულ კლასში კი, რომელიც პარალელურად გამოიყენება სამკითხველოს ფუნქციების შესასრულებლად, დგას 14 მაგიდა.

მესამე შენიშვნასთან დაკავშირებით შპს - „განათლების" წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ქვეიჯარით გაცემული ფართით სარგებლობს ინდმეწარმე, რომელიც მხოლოდ მოსწავლეთა კვებას ემსახურება.
იოსებ სალუქვაძემ პოზიციის დაფიქსირება სთხოვა ექსპერტთა ჯგუფის წევრს, რომელმაც დაადასტურა, რომ მიუხედავად იმისა, რომ იჯარით გაცემული ფართი გამოიყენება სკოლის მიზნებისათვის, მისი კანონიერად ფლობა არ დასტურდება, ამიტომ ეს ფართი გამოკლებული უნდა იქნეს საერთო ფართისაგან. ამ აზრს დაეთანხმნენ იოსებ სალუქვაძე და კონსტანტინე ნანობაშვილი.
საბჭოს სხვა წევრების აზრით, გადამწყვეტია ის ფაქტორი, რომ ეს ფართი ემსახურება სკოლის მიზნებს.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - „განათლების" შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

2. ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით:

სერტიფიცირებულ მასწავლებლებთან ხელშეკრულებები დადებულია 2012 წლის ბოლომდე, დანარჩენ მასწავლებლებთან 2011 წლის 1 ივლისამდე.
შპს - „განათლების“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სერტიფიცირებულ მასწავლებლებთან არის დადებული გრძელვადიანი ხელშეკრულება და ვისთანაც 2011 წლის 1 ივლისამდე ჰქონდა ხელშეკრულება გაფორმებული, მათი ხელშეკრულებების ვადა გაგრძელდება ახალი საათობრივი ბადის შესაბამისად.

საბჭომ იმსჯელა ადამიანური რესურსის სტანდარტთან შპს - „განათლების“ შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „განათლებისათვის“ ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „განათლებას“ მიენიჭოს ავტორიზაცია 5 წლის ვადით და მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვროს 255-ით.

მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრის დროს იოსებ სალუქვაძემ და კონსტანტინე ნანობაშვილმა მხარი არ დაუჭირეს საერთო რაოდენობის 255-ით განსაზღვრის გადაწყვეტილებას, რადგანაც, მათი აზრით, იჯარით გაცემული ფართი არ უნდა ჩათვლილიყო გამოთვლის დროს.

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - აისის დირექტორს იანა ტორჩინავას მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

2. შპს - აისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - აისის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ჯგუფის წევრმა, ქეთევან ფანჩულიძემ, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემულ უარყოფით შეფასებებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით:

1.1 მომავალი სასწავლო წლისათვის შედგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა ეფუძნება არა 2011-2016 წლის ეროვნულ სასწავლო გეგმას, არამედ 2010-2011 წლის ეროვნული სასწავლო გეგმას.

1.2 წარმოდგენილი გაკვეთილების ბადე შედარებულ იქნა 2011-2016 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო გეგმას. შედარების შედეგად აღმოჩნდა, რომ ქართულს აკლია მე-4-მე-5 კლასებში თითო-თითო საათი. მე-6 კლასში ნაცვლად საგნისა - „ჩვენი საქართველო", რომელსაც უნდა დაეთმოს 3 საათი, ისწავლება ისტორია - 2 სთ და გეოგრაფია - 1 სთ. მე-6 კლასში ბუნებისმეტყველების 3 საათის ნაცვლად ტარდება 1 საათი ბიოლოგია. ბადეში გაწერილია „გლობალური გეოგრაფია", მაგრამ არ არის მითითებული, რომელი კლასი სწავლობს და რა დატვირთვით. ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებაში გაწერილია დამატებითი უცხო ენების სწავლება ფაკულტატურული სახით (მათი კვირეული დატვირთვა განსაზღვრულია 2-2 საათით), ჭრა-კერვის, ხატწერის, ფორტეპიანოს და ცეკვის წრეები. მათი გრაფიკი არაა გაწერილი ბადეში.

1.3 დაწესებულებას უნდა ჰქონდეს სილაბუსი, რომელიც გაწერილი იქნება ერთ წელზე (ან სემესტრზე). სილაბუსის ნაცვლად სკოლამ წარმოადგინა ყოველდღიური გაკვეთილების გეგმა, (რომელიც თავის მხრივ იყო ხარვეზიანი, კერძოდ - მოიცავდა თემებს, აქტივობებს, ძირითად

კითხვებს, შეფასებასა და თვითშეფასებას. თუმცა არ იყო გაწერილი გაკვეთილების/თემის მიზნები, არ ჩანდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ რა ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს უმუშავებს სკოლა თავის აღსაზრდელებს). სილაბუსი ფაქტობრივად, წარმოადგენდა ყოველდღიურ საგაკვეთილო გეგმებს.

ქეთევან ფანჩულიძემ სხდომაზე წარმოადგინა ერთ-ერთი სილაბუსი.

1.4 სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა ზედამხედველობისა და აკადემიური მოსწრების შეფასების გუნდი 7 პედაგოგის შემადგენლობით. სკოლაში სწავლობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე 9 მოსწავლე. მოსწავლეთა სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს სკოლა ადგენს მოსწავლეთა ჯანმრთელობის ცნობებითა და ვიზუალიზაციით. შემუშავებულია თითოეული მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სამუშო გეგმები. გეგმებში აღწერილია მოსწავლეების ძლიერი და სუსტი მხარეები, გაწერილია გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები. მაგ.: ,,მოსწავლის, ნინო თათარაშვილის ძლიერი მხარეა-კითხულობს ტექსტს, ხოლო გრძელვადიანი მიზანია 33 ასო-ბგერის შესწავლა-გამოცნობა, დასახელება''. მისაღწევი მიზნები არ არის დროში გაწერილი, ერთ-ერთი გეგმის ძლიერ მხარედ მიჩნეულია, რომ ,,მოსწავლეს შეზღუდული აქვს მსხვილი და ნატიფი უნარები'', ხოლო გეგმაში მსხვილი და ნატიფი მოტორული უნარების განვითარებისათვის გათვალისწინებული არ არის არანაირი ღონისძიება. არაა გამოყოფილი მოსწავლის საჭიროებების დაკმაყოფილებაზე პასუხისმგებელი პირი. სსსმ მოსწავლის ალექსანდრე წიკლაურის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ მოსწავლის ძლიერი მხარეა - „ხშირ შემთხვევაში ემოციურად გაუწონასწორებელია (ბილწსიტყვაობს)". არც ერთ გეგმას არ ახლავს თან მიზნის მისაღწევად დაგეგმილი აქტივობები.

დირექტორის ზეპირი ინტერვიურირების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას აგრეთვე ჰყავს უსინათლო მოსწავლე, რომელისთვისაც დაწესებულებას არ აქვს შემუშავებულის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, არამედ მასწავლებელი ზეპირად უკითხავს გაკვეთილებს და ხელით მექანიკური დახმარებით აწერინებს.

1.5 სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სკოლაში დანერგილი შეფასების სისტემა. მოსწავლეთა გამოკითხვა/შეფასებები ხდება არა სემესტრების, არამედ **ტრიმესტრების** მიხედვით.

სხდომაზე გამოქვეყნდა ტრიმესტრული შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტი.

1.6 სკოლაში მუშაობს 9 კათედრა, რომელთა სამუშაო გეგმა გაწერილი არ არის. კათედრების სხდომების ოქმებში დადგენილებები/გადაწყვეტილებები არაა დაფიქსირებული.

1.7 მშობელთა ინფორმირების მიზნით, ყოველი კვირის ბოლოს დამრიგებელი მშობელს უგზავნის მოკლე ტექსტურ შეტყობინებას. მშობელს უფლება აქვს დაესწროს ნებისმიერ გაკვეთილს, თუმცა აღნიშნულის თაობაზე არანაირი წესი თუ სხვა მარეგულირებელი დოკუმენტი არ არსებობს.

1.8 სკოლაში არსებობს კითხვარები, მოსწავლეების, მასწავლებელებისა და მშობელებისათვის. აღნიშნული კითხვარები შევსებულია, მაგრამ წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდება, რომ ანალიზის შედეგები გათვალისწინებულია (ან გათვალისწინებული იქნება) სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, რამდენად იყო ბოლო ორი საკითხი ავტორიზაციის საბჭოს განსახილველი.

საბჭოს წევრ დავით კახნიაშვილის განმარტებით, გაუმჯობესების დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა არსებობდეს. ავტორიზაციის ეტაპზე შეიძლება არ მოხდეს დოკუმენტის შინაარსობრივი შემოწმება, თუმცა დოკუმენტი ფიზიკურად უნდა არსებობდეს. იოსებ სალუქვაძე დაეთანხმა მის აზრს.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

შპს ,,აისის" დირექტორმა იანა ტორჩინავამ განაცხადა, რომ იგი ეთნხმება ექსპერტთა დასკვნაში მოცულ ფაქტობრივ გარემოებებს, თუმცა სურს, რომ საბჭოს წევრებს გააცნოს ზემოხსენებული ხარვეზების მიზეზები.

დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა 2010-2011 სასწავლო წლის შედეგები, სწორედ ამით არის გამოწვეული სასკოლო სასწავლო ბადეში 2010-2011 წლის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ინფორმაციის გაწერა.
ამჟამად არსებობს ახალი სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც ყველაფერი დეტალურად არის გაწერილი.

რაც შეეხება ფაკულტატურ წრეებს, აღნიშნული გაკვეთილების ცხრილში იყო მითითებული, თუმცა საათობრივ ბადეში თითოეული კლასისთვის ცალ-ცალკე გაწერილი არ ჰქონდათ.
ამჟამად სკოლას აქვს ახალი სასკოლო გეგმაც და ახალი ცხრილიც.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებთან დაკავშირებით, იანა ტორჩინავამ განმარტა, რომ დაარსების დღიდან სკოლას ჰყავს გსსმ მოსწავლეები. სკოლამ მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მოდიფიცირებული სასწავლო გეგმის შედგენაში დახმარებისათვის. სამინისტროს მულტიდისციპლინარული გუნდის

წარმომადგენელმა შეადგინა ოქმი, რომელიც პერიოდულად სკოლას უწევს კონსულტაციებს. ეს ლაფსუსები სადაც არის აღმოჩენილი, თვითონ გუნდმა მიაწოდა სკოლას. აღნიშნული ხარვეზები ალბათ მასწავლებლებს მოუვიდათ და იანა ტორჩინავას განცხადებით მისი ბრალია, რომ არ აღმოაჩინა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლას პერიოდულად კონსულტაციებს უწევს გსსმ მოსწავლეებთან დაკავშირებით. რაც შეეხება უსინათლო მოსწავლეს, ნორვეგიელებმა ჩაატარეს ტრენინგი და სკოლის მასწავლებელი იყო მიწვეული. ნორვეგიელები სკოლას დაპირდნენ, რომ პროგრამაში ჩართავდნენ და შეუქმნიდნენ შესაბამის პირობებს.

სკოლა წლებია რაც რუბრიკებს და კითხვარებს ამუშავებს. აგრეთვე არსებობს სტატისტიკური მონაცემებიც. მაგ.: პირველ სემესტრში ბავშვების ქულები როგორი იყო ჩათვლების მიხედვით და თითოეულ მასწავლებელს რა მითითებები მიეცა.
დაწესებულების წარმომადგენელმა სხდომაზე წარმოადგინა შესაბამისი ცხრილი.

სკოლის მიღწევებზე ისიც მეტყველებს, რომ სკოლას ჰყავს პრეზიდენტის წარჩინებული მასწავლებელიც. არსებობს რუბრიკები, რომლებიც ნელ-ნელა მუშავდება და შემდეგ მისი ასახვა მოხდება სასწავლო პროცესში.

სილაბუსებთნ დაკაშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაარსების დღიდან არსებობს კალენდარული გეგმა, ყოველდღიური საგაკვეთილო გეგმა. სილაბუსი, რომელიც სხდომაზე იქნა წარმოდგენილი არის ერთ-ერთი სახე, გარდა ამისა, არსებობს ცალკე კათედრების პორტფოლიები და არის სილაბუსის წლიური ფორმა, რომელიც ეროვნულ გეგმასთნ სრულ შესაბამისობაშია, გაწერილია ინდიკატორებით. აგრეთვე არის სილაბუსის მარტივი ფორმა (რომელიც სხდომაზე იქნა წარმოდგენილი).

დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა სხდომაზე ფორმები.

საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა ექსპერტებს ჰკითხა, ნახეს თუ არა აღნიშნული სილაბუსები საავტორიზაციო ვიზიტის დროს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ლიანა კობესაშვილის განმარტებით, ნაწილი სილაბუსებისა ნახეს, ნაწილი არა.
დავით კახნიაშვილმა სხდომაზე განმარტა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა იძლევა უფლებას, რომ სკოლებმა 25 პროცენტის ფარგლებში მოახდინონ საათობრივი ბადის ცვლილება

რომელიმე საგნის სასარგებლოდ. ამდენად, აღნიშნული შენიშვნა ვერ იქნება მხედველობაში მიღებული.

დავით კახნიაშვილმა დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა, წარმოდგენილი ჰქონდა თუ არა სხდომაზე ყველა საგნის სალაბუსი.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ყველა სილაბუსი არ ჰქონდა წარმოდგენილი.

დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტებს სილაბუსები არ უნახავთ, რაც სხდომაზე ექსპერტებმა წარმოადგინეს, ის არ არის სილაბუსი. რაც შეეხება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტს, ის არის სილაბუსი, თუმცა იმისათვის, რომ საბჭო დარწმუნდეს დაწესებულების მიერ ავტორიზაციის მოთხოვნების დაცვაში, წარმოდგენილი უნდა იყოს სილაბუსი ყველა საგანში.
ტრიმესტრულ შეფასებასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტის მიერ შეფასებული იქნა ძველი ფორმა. სკოლას აქვს ახალი ფორმა, სადაც შეფასების სისტემა სემესტრულია.
საბჭოს თავჯდომარემ იკითხა, თუ რატომ არ იყო აღნიშნული ფორმა ხელმისაწვდომი ექსპერტებისათვის.
ქეთევან ფანჩულიძის განმარტებით, ექსპერტებმა მოითხოვეს ის დოკუმენტაცია, რომელიც მითითებული იყო თვითშეფასების კითხვარის დადასტურების ნაწილში.

საბჭოს წევრმა ანა კლდიაშვილმა დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა, თუ საიდან ჩანდა რომ სკოლაში შეაფსების სისტემა ტრიმესტრული იყო ან სემესტრული. რამდენადაც სხდომაზე წარმოდგენილი დოკუმენტებიდან აღნიშნული არ დგინდებოდა.
წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული დგინდებოდა ჟურნალებით, კათედრის პორტფოლიოებით.
ჟურნალები და კათედრის პორტფოლიოები გამოქვეყნდა სხდომაზე.

ინკლუზიურ სწავლებასთან დაკავშირებით დავით კახნიაშვილმა განაცხადა, რომ ზნეობრივად არ არის გამართლებული, როდესაც სკოლას აჰყავს სპეციალური საგანმანათელბლო საჭიროების მქონე ბავშვი, როცა მისთვის სპეციალური პიროებები არ აქვს. მით უმეტეს, როდესაც სკოლა კერძოა და ასეთი ტიპის ბავშვის მიღებაზე უარის თქმა სამართლებრივად მისთვის შესაძლებელია.

საბჭოს თავმჯდომარემ ჩათვალა, რომ სასკოლო ბადეში საათების 25 პროცენტიან ცვლილებასთან დაკავშირებით საბჭოს წევრ დავით კახნაიშვილის მიერ გამოთქმული შეფასება მართებული იყო.

საბჭომ იმსჯელა **საგანმანათლებლო პროგრამების** სტანდარტთან შპს - აისის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

2. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით:

2.1 სკოლა განთავსებულია ექვსსართულიანი შენობის მე-5 სართულზე. საკლასო ოთახები განლაგებულია დერეფნის ორივე მხარეს. საკლასო ოთახები აღჭურვილია ინდივიდუალური და ორადგილიანი მერხებით, სასკოლო დაფებით, სასწავლო რესურსებით-რუკებით. სკოლის ინვენტარიზაციის ცხრილში წარმოდგენილია 214 მერხი, მათგან ბუღალტრულად დასტურდება 103 ერთეული, რომლებიც მეორადი მასალითაა დამზადებული და შესყიდულია კერძო პირებისგან. დანარჩენ მერხებზე და სხვა სასკოლო ინვენტარზე ბუღალტრის განმარტებით დოკუმენტაცია განადგურებულია, ვინაიდან ბალანსზეა აყვანილი თანხის სახით და 2005 წლამდეა შეძენილი. რაც შეეხება გენერატორს, გაზის ღუმელს, პიანინოს და საკერავ მანქანას, ბალანსზეა აყვანილი, თუმცა მათზე დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინეს. დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინეს ასევე მაგიდის ჩოგბურთის ინვენტარზე.

2.2 სკოლას საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის გამოყოფილი აქვს ოთხი, რომელიც აღჭურვილია კერძო პირის აბესალომ იაშვილისგან შესყიდული ლაბორატორიის აღჭურვილობით.

2.3 სკოლაში განთავსებულია მცირე ზომის სპორტული დარბაზი კრივისათვის, საშხაპე და გასახდელები საკმაოდ არის დაშორებული დარბაზს და იქ მოსახვედრად უნდა გავიაროთ სამკითხველო დარბაზი. სპორტული მოედნით სარგებლობასთან დაკავშირებით გაფორმებული აქვთ ხელშეკრულება. ამხანაგობა ,,ყაზბეგი 47" - თან.

2.4 სკოლას აქვს ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა რომელსაც უზრუნველყოფს მეიჯარე (განსაკუთრებულ შემთხვევებისთვის არსებობს დამატებითი დენის წყარო, კერძოდ: გენერატორი) ინტერვიუთი გენერატორი ნაჩუქარია, საბუთები ჩუქების შესახებ არ აქვთ. გენერატორი სკოლის ბალანსზეა აყვანილი. ყველა ოთახს აქვს ბუნებრივი განათება, გარდა ბიბლიოთეკისა.

2.5 სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 4100 ერთეულს, თანხით - 857 ლარი. აქედან სასწავლო სახელმძღვანელოა 2325. პერიოდიკაზე გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „საგამომცემლო სახლ ქართული ელიტასთან". არსებობს საბიბლიოთეკო პრინციპით მოწესრიგებული სარეგისტრაციო ჟურნალი, ელექტრონულ ჟურნალში გატარებულია წიგნების არასრული რაოდენობა. ბიბლიოთეკაში არის 1 კომპიუტერი, რომელიც ჩართულია

ინტერნეტში. ბიბლიოთეკა აღჭურვილია წიგნის თაროებით, 6 მაგიდით, სკამებით. გამოყოფილია ასევე დამატებით სამკითხველო ოთახი ბიბლიოთეკიდან მოშორებით. გაწერილი არ არის ბიბლიოთეკის მუშაობის დრო და არ არის გაფორმებული ხელშეკრულება ბიბლიოთეკართან.

ზეპირ მოსმენაზე, საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა მომხსენებელს ჰკითხა სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურა იყო თუ არა ბიბლიოთეკაში, რაზეც დადებითი პასუხი მიიღო.

2.6 სკოლას აქვს სულ 13 კომპიუტერი, აქედან: 1 მეორადი კომპიუტერი შეძენილია კერძო პირი გიორგი აბაკელიასგან, რომელთანაც გაფორმებულია მიღება-ჩაბარების აქტი, 1 კომპიუტერი შეძენილია კერძო პირ ეკა დგებუაძისგან (მეორადი), ინდმეწარმე ლერი კოვზირიძისგან 2 კომპიუტერი (მეორადი), 2 კომპიუტერი ნაყიდია შპს ელიტკომპიუტერისგან, 1 კომპიუტერი შესყიდულია კერძო პირ ნანა გაბუნიასგან (2007წ. მეორადი). სკოლაში არის ასევე პრინტერი, ქსეროქსის და სკანერის ფუნქციებით.

სკოლას აქვს ვებგვერდი, რომლის მისამართია: www.aisi.edu.ge ვიზიტის დროს ვებგვერდზე განთავსებული იყო სკოლის ფუნქციონირების შესახებ ზოგადი, მოკლე ინფორმაცია.

2.7 სკოლამ წარმოადგინა ფურცელზე გაწერილი ერთწლიანი და ექვსწლიანი განვითარების გეგმა, რომელის დამტკიცების დოკუმენტიც არ არსებობს. ასევე გაურკვეველია რომელ წლებზეა აღნიშნული დოკუმენტები გაწერილი.

2.8 სკოლაში მიმდინარეობს გასული და შემოსული კორესპონდენციების აღრიცხვა, ჟურნალები ზონარგაყრილია დანომრილი და ბეჭედდასმული. გასული კორესპონდენციების ასლები სრულად არ არის სკოლაში. ბრანებების წიგნი-ზონარგაყრილი, დანომრილი და ბეჭედდასმულია. ზოგიერთი ბრძანება ხელმოუწერელია. მოსწავლეთა აღრიცხვა ხდება ანბანურ წიგნში ასეთი წიგნი 2-ია, მათ შორის ერთი დამოწმებული ბეჭედდასმული და ზონარგაყრილი, მეორე არაა ბეჭდით დამოწმებული. ატესტატების გაცემის აღრიცხვა წარმოებს, გაწერილია მოსწავლეთა შეფასებები და გაცემული ატესტატების სერია და ნომერი, გვერდები ბეჭდით დამოწმებული არ არის. არის პედსაბჭს ოქმების რვეული, კათედრებს აქვთ ასევე სხდომების ოქმები, მაგრამ არ აქვთ წლიური სამუშო გეგმები.

საბჭოს თავმჯდამარის მოვალეობის შემსრულებელმა, იოსებ სალუქვაძემ, იკითხა ბრძანებები არსებობდა თუ არა ხელმოწერის გარეშე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ არსებობდა ზოგიერთი ბრძანება ხელმოწერის გარეშე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შენობის მეიჯარე იყო ბანკი რესპუბლიკა და გენერატორი მისი მიწოდებული იყო. აღნიშნა, რომ მათთან თანამშრომლობს ვაკე-საბურთალოს საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტი.

კომპიუტერები 4 იყო ახალი.

გრძელვადიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია პედსაბჭოს ბოლო სხდომაზე. წარმომადგენელმა სხდომაზე წარმოადგინა პედსაბჭოს სხდომის ოქმის ასლი.

საბჭოზე გამოქვეყნდა შესყიდვების დოკუმენტი, რომელიც არის ბეჭდის გარეშე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ეს ერთი დოკუმენტია და არის ასევე სხვებიც, სადაც მსგავსი პრობლემებია.

საბჭომ იმსჯელა **მატერიალური რესურსის** სტანდარტთან შპს აისის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

3. ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით

სკოლის შინაგანაწესში გაწერილია სკოლაში თანამშრომელთა მიღების და გათავისუფლების წესები, სადაც აღნიშნულია, რომ ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში სკოლა აცხადებს კონკურსს, კონკურსის გამოცხადების პირობები არაა გაწერილი.

საბჭომ იმსჯელა **ადამიანური რესურსის** სტანდარტთან შპს აისის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა კენჭისყრაზე დააყენა შპს - „აისის“ ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0
მოწინააღმდეგე - 6

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ,,აისს" უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

მესამე საკითხის განხილვის დაწყებისას საბჭოს შემოუერთდა კახი ყურაშვილი. საბჭოს თავმჯდომარემ შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „მიმის“ წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

3. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „მიმის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,მიმის" თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ჯგუფის წევრმა - ბექა ძამაშვილმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში მოცემულ შენიშვნებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით:

1.1 საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს. კერძოდ, პროგრამების მიხედვით: ,,სტუდენტს უფლება აქვს, არ გავიდეს გამოცდაზე, თუ მას პრაქტიკის პერიოდში მიღებული შეფასებების ქულათა ჯამით მიღებული აქვს არანაკლებ 51 ქულა. ამ შემთხვევაში მისი საბოლოო შეფასება განისაზღვრება მხოლოდ შუალედური შეფასებით დაგროვილი ქულების მიხედვით" (დანართი №3). აღნიშნული ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N121/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის" მე–4 მუხლის მე–4 პუნქტს, რომლის მიხედვითაც შეფასება უნდა ითვალისწინებდეს შუალედურ შეფასებას და დასკვნით გამოცდაზე შეფასებას. დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით კი დასკვნითი გამოცდა სავალდებულო არაა. თუმცა უნდა ითქვას, რომ სასწავლო გეგმისა და სილაბუსების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ დასკვნითი გამოცდა ყველა სასწავლო კურსში სავალდებულო კომპონენტია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული №121 ბრძანება ადგენს ალტერნატივას შუალედურ შეფასებასა და დასკვნით გამოცდას შორის. თუმცა რეალურად, შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,მიმის" არც ერთ აკადემიურ პერსონალს არ უსარგებლია აღნიშნული ალტერნატივით და ყველა სილაბუსის მიხედვით, დასკვნითი გამოცდა სავალდებულო კომპონენტადაა გათვალისწინებული.

1.2 ინტერნეტტექნოლოგის მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის: ,,ინტერნეტტექნოლოგის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია" (დანართი №3, გვ. 44). დამტკიცებული პროფესიული სტანდარტის მიხედვით, მისანიჭებელი კვალიფიკაცია უნდა იყოს: ,,ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი)_მეორე საფეხურის კვალიფიკაცია".

საბჭოს თავმჯდომარემ მომხესენებელს სთხოვა, განემარტა რა სამართლებრივი საფუძველი აქვს იმის მტკიცებისათვის, რომ ირღვეოდა ავტორიზაციის სტანდარტი. მომხსენებლის განცხადებით, თუ საბჭო მიიჩნევს, რომ აუცილებელია ფრჩხილებში მოცემული ინფორმაციის ასახვა კვალიფიკაციაში, მაშინ სტანდარტი ირღვევა, ხოლო თუ საბჭო გადაწყვეტს, რომ ფრცხილებში მოცემული ინფორმაცია ყოველთვის სავალდებულოდ არ უნდა აისახოს კვალიფიკაციაში, მაშინ სტანდარტი არ ირღვევა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, არ არსებობს ცენტრის ერთიანი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებობს კვალიფიკაციები, რომელიც ჩარჩოს მიხედვით ფრჩიხელბს ითვალისწინებს, თუმცა ცენტრის დირექტორის ბრძანები)თ დამტკიცებული სტანდარტის მიხედვით, მისანიჭებელ კვალიფიკაციაში ფრჩხილები არ არის გათვალისწინებული. დაწესებულების წარმომადგენელმა მაგალითად მოიყვანა საბაჟო დეკლარირების სპეციალისტის პროფესიული სტანდარტი. სამართლებრივი აქტით განმარტებული არ არის სავალდებულოა თუ არა ფრჩხილებში მოცემული ინფორმაციის კვალიფიკაციაში ასახვა. ამასთან, გრამატიკული და ენციკლოპედიური განმარტების თანახმად, ფრჩხილებში მოცემული ინფორმაცია მხოლოდ დაკონკრეტების ფუნქციას ატარებს. აგრეთვე ფრჩხილების გარეშე კვალიფიკაციის მინიჭება არ არის დამაბნეველი და შეცდომაში შემყვანი. ყველასთვის ცხადია, რომელ კვალიფიკაციაზე არის საუბარი.

1.3 საბაჟო დეკლარირების სპეციალისტის პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 32 კრედიტს (800 ასტრონომიული საათი). პროფესიული სტანდარტის მიხედვით, პრაქტიკას უნდა დაეთმოს არანაკლებ 40%. 32–ის 40% არის 12.8, პროგრამის მიხედვით კი პრაქტიკიდან პროფესიული სტუდენტი გამოიმუშავებს 12 კრედიტს. თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში საათობრივი დატვირთვა აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს, რადგან

პროგრამის მიხედვით, პრაქტიკას ეთმობა 320 საათი, რაც მთლიანი დატვირთვის (800 საათი) 40%–ს წარმოადგენს (დანართი №3, გვ. 91).

საბჭომ არ გაიზიარა ავტორიზაციის ექსპერტთა შენიშვნა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,მიმის" შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

2. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემთხვევითი შერჩევის მეთოდით ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან გადამოწმდა სილაბუსებში (სულ 22 სილაბუსი) (დანართი №6) მითითებული ლიტერატურა. გადამოწმების შემდეგ ადგილზე აღმოჩნდა სილაბუსებში მითითებული ყველა ძირითადი ლიტერატურა ორი გამონაკლისის გარდა. კერძოდ, ადგილზე არ აღმოჩნდა:

1. კომპიუტერული გრაფიკოსის II საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის (ტექნიკური ინგლისური ენა) სავალდებულო ლიტერატურა – Oxford English in Computing (Keith Boeckner. P. Charles Brown)

2. ნავთობის და გაზის მეურნეობის ტექნიკოსის III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის (საოფისე პროგრამული უზრუნველყოფა III საფეხური) სავალდებულო ლიტერატურა – "MICROSOFT OFFICE POWERPOINT 2007 PLAIN&SIMPLE", Nancy Muir.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული ლიტერატურა არის ინგლისურენოვანი და საქართველოში მისი შეძენა შეუძლებელია. დაწესებულებას ონლაინ რეჟიმში აქვს წიგნები გამოწერილი, რომელიც უკვე ჩამოსულია საქართველოში და საბაჟოზეა გაჩერებული. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელიც საბჭოს თავმჯდომარის თხოვნით საქმის მასალებს დაერთო.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,მიმის" შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „მიმის“ მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების, საზოგადოებრივი კოლეჯის, სტატუსი 5 წლის ვადით და პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვროს 825-ით.

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის წარმომადგენლებს - დავით ყვავაძესა და ნაზო წიბლიაშვილს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. შპს - თბილისის ნოდარ დუმბაძის საზოგადოებრივი კოლეჯის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ მათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

4. შპს - თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ჯგუფის წევრმა - თათა ერქვანიამ, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემულ შენიშვნებზე:

1. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით:

1.1 დაწესებულებას შემუშავებული და 2011 წლის 31 მაისის დამფუძნებელთა კრების N1 ოქმით დამტკიცებული აქვს განვითარების სტრატეგიული გეგმა, რაც მოიცავს კოლეჯის სამოქმედო გეგმას 2011–2012 წლებისათვის და სამოქმედო გეგმას 2011–2016 წლებისათვის, რაც საერთო ჯამში შეადგენს 5 წელსა და 7 თვეს. გეგმა ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

ავტორიზაციის საბჭოს წევრმა ანა კლდიაშვილმა შეკითხვით მიმართა თათა ერქვანიას, კონკრეტულად რა დოკუმენტაციით დასტურდებოდა, რომ 6-წლიანი სტრატეგიული გეგმა მოიცავდა ზუსტად 5 წელსა და 7 თვეს.

თათა ერქვანიამ დააკონკრეტა, რომ დამფუძნებელთა კრების ოქმით დამტკიცებული იყო სტრატეგიული გეგმა, რომელიც მოიცავს სამოქმეედო გეგმას 2016 წლამდე.

სხდომის თავმჯდომარემ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები ვერ შეიკრიბებოდნენ პირველ იანვარს იმისათვის, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმა ზუსტად 6 ასტრონომიული წლისთვის ყოფილიყო დამტკიცებული..

საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა შენიშვნა.

1.2 საჯარო რეესტრის ამონაწერით დასტურდება შპს - თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის მფლობელობის უფლება 500 კვ.მ. ფართზე. შენობის ტექნიკური ნახაზით კი ფაქტობრივად დასტურდება, რომ დაწესებულების მფლობელობაში არსებული ფართის საერთო ოდენობა, კერძოდ კი, პირველ სართულზე არსებული ფართის (207,75 კვ.მ.) ნამატი მეორე სართულზე არსებულ ფართთან (318,97კვ.მ.) საერთო ჯამში შეადგენს 526,72 კვ.მ.-ს. ამდენად, დაწესებულების ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართია 526,72 კვ.მ., ხოლო საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებულია 500 კვ.მ. ფართი.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს აქვს დამკვიდრებული პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, საბჭო ყოველთვის ეყრდნობა ამონაწერს საჯარო რეესტრიდან.

2. ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით:

პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად ექსპერტთა ჯგუფს გაუჩნდა ეჭვი კომპიუტერული საოფისე პროგრამების მასწავლებლის ვახტანგ კირკიტაძის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, რომელიც არის განათლებით ისტორიკოსი, თუმცა პირადი განცხადებით აღნიშნავს, რომ 1997–2002 წლებში შპს „მწიგნობარში“ მუშაობდა ინფორმატიკის მასწავლებლად და 2004–2009 წლებში შპს „ეგრისელში“ ასევე ასწავლიდა საოფისე პროგრამებსა და კომპიუტერის ტექნიკურ და პროგრამულ უზრუნველყოფას, რაც სხვა რაიმე მტკიცებულებით არაა გამყარებული. ვ. კირკიტაძის მიერ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდშივე იქნა წარმოდგენილი შპს თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება – კოლეჯის მიერ გაცემული ცნობა N05/018, გაცემული 2011 წლის 28 აპრილს, რაც ადასტურებს, რომ ბატონი ვახტანგ კირკიტაძე 2008 წლის 15 სექტემბრიდან ნამდვილად მუშაობს ამ სასწავლო დაწესებულებაში ინფორმატიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლად, ასევე 2011 წლის 04 ივნისს შპს „ეგრისელის“ დირექტორის მიერ გაცემული ცნობა, სადაც აღნიშნულია, რომ ვ. კირკიტაძე 2003 წლიდან 2009 წლამდე მუშაობდა კომპიუტერული ცენტრის მასწავლებლად და ნათარგმნი და შექმნილი აქვს რამოდენიმე აუცილებელი კომპიუტერული სასწავლო სახელმძღვანელო.

თათა ერქვანიამ საბჭოს წარუდგინა შემდეგი მტკიცებულებები საკითხის შესახებ:

- ვ. კირკიტაძის 2011 წლის 20 მაისის განცხადება;
- შპს თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება – კოლეჯის მიერ 2011 წლის 28 აპრილს გაცემული N05/018 ცნობა.

- შპს „ეგრისელის“ დირექტორის მიერ 2011 წლის 04 ივნისს გაცემული ცნობა.

კომპიუტერული საოფისე პროგრამების მასწავლებლის, ვახტანგ კირკიტაძის შემთხვევაში ექსპერტთა მიერ ეჭვქვეშ იქნა დაყენებული პროფესიული განათლების შესახებ კანონის 12[1] მუხლის მოთხოვნებთან ვ. კირკიტაძის შესაბამისობის საკითხი, რის შემდეგაც წარმოდგენილი იქნა დამატებითი დოკუმენტაცია.

თათა ერქვანიამ საბჭოს წარუდგინა შემდეგი მტკიცებულებები საკითხის შესახებ:
- ვ. კირკიტაძის 2011 წლის 20 მაისის განცხადება,
- შპს თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება – კოლეჯის მიერ 2011 წლის 28 აპრილს გაცემული N05/018 ცნობია,
- შპს „ეგრისელის“ დირექტორის მიერ 2011 წლის 04 ივნისს გაცემული ცნობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კახი ყურაშვილმა იკითხა, პირად საქმეში იყო თუ არა წარმოდგენილი შრომის წიგნაკი. თათა ერქვანიამ უპასუხა, რომ პირად საქმეში არ იყო ვახტანგ კირკიტაძის შრომის წიგნაკი. საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა, აღნიშნა, რომ არც იყო სავალდებულო შრომის წიგნაკი ყოფილიყო წარმოდგენილი პირად საქმეში, რასაც დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარე. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შრომის წიგნაკი მოქმედი კანონმდებლობით სავალდებულო არ არის, შესაბამისად, გაცემული ცნობები არის ის მტკიცებულება რომელსაც უნდა დაეყრდნოს საბჭო. თუ წარმოდგენილ ცნობებს არ ვენდობით და დასაბუთებული ვარაუდი გვაქვს მისი სიყალბის შესახებ, მაშინ შემოსავლების სამსახურში საშემოსავლო დაბეგვრის შესახებ ინფორმაცია უნდა მოვიძიოთ. ვინაიდან გაცემული ცნობების სიყალბის თაობაზე ეჭვი არ არსებობს, ამ შემთხვევაში საკითხი მაძიებლის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა თათა ერქვანიას, კიდევ ხომ არ ჰქონდათ ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით რაიმე შენიშვნა, რაზეც თათა ერქვანიამ უპასუხა, რომ სხვა შენიშვნა ავტორიზაციის სტანდარტების ამ ნაწილში ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ დაფიქსირებულა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების ფართთან დაკავშირებით არსებულ შენიშვნასთან დაკავშირებით საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ საბჭოს დამკვიდრებული პრაქტიკით, ამოსავალი წერტილია საჯარო რეესტრის მონაცემები და არა ფაქტობრივი მონაცემები. ასევე, მიმართა მათ, რას ფიქრობდნენ ვახტანგ კირკიტაძის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით. საბჭოს წევრის აზრით, წარმოდგენილი დოკუმენტაცით დასტურდება, რომ მას ნამუშევარი აქვს ამ სფეროში, გამოცემული აქვს საკუთარი წიგნები კომპიუტერულ პროგრამებთან დაკავშირებით.

საბჭომ იმსჯელა ადამიანური რესურსის სტანდარტთან დაკავშირებით შპს - ნოდარ დუმბაძის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარებ კენჭი უყარა შპს - თბილისის ნოდარ დუმბაძის ავტორიზაციის და პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის 245-ით განსაზღვრის შესახებ და დააკონკრეტა, რომ კონტინგენტთან დაკავშირებით გათვალისწინებულია საჯარო რეესტრის ამონაწერით დადასტურებული 500კვ.მ. ფართი და 15 მასწავლებელი, მათ შორის ვახტანგ

კირკიტაძეც, რადგან რაიმე მტკიცებულება, რომელიც მის კვალიფიკაციას გამორიცხავდა საბჭოს არ გააჩნია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების” 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის საზოგადოებრივ კოლეჯს მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების, საზოგადოებრივი კოლეჯის, სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 245-ით

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - ქუთაისის სამედიცინო სკოლის დირექტორს იოსებ კაჭახიძეს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

5. შპს - ქუთაისის სამედიცინო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - ქუთაისის სამედიცინო სკოლის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ჯგუფის წევრმა - თამარ შუდრამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტებს შენიშვნა არ ჰქონიათ.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქუთაისის სამედიცინო სკოლისათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ქუთაისის სამედიცინო სკოლას მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების, საზოგადოებრივი კოლეჯის, სტატუსი და პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვროს 245-ით.

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის დირექტორს თემურ ქორიძეს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

6. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ჯგუფის წევრმა ლიკა გიორგაძემ, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემულ შენიშვნებზე:

1. საგანმანათლებლო პროგარმებთან დაკავშირებით:

ცალკეული კურსების სილაბუსებში წინაპირობად არის განსაზღვრული სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული დისციპლინების ცოდნა, მაგალითად: საგანში „ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია“ შესწავლის წინაპირობად განსაზღვრულია საშუალო სკოლის პროგრამით გათვალისწინებული ქიმიის, ბიოლოგიისა და ანატომიის, კომპიუტერული ტექნოლოგიების ცოდნა. საგნის „სამედიცინო ბიოლოგია, პარაზიტოლოგია“ წინაპირობაა ზოგადი ბიოლოგიის სასკოლო კურსი. საგნის „სამედიცინო ფიზიკა, ბიოფიზიკა“ წინაპირობაა საშუალო სკოლის ფიზიკის კურსის ცოდნა. საგნის „უმაღლესი მათემატიკა 1“ წინაპირობაა საჯარო სკოლის პროგრამით გათვალისწინებული მათემატიკის საკვანძო საკითხების ცოდნა.

ზეპირ მოსმენაზე თავმჯდომარის მოადგილემ, იოსებ სალუქვაძე, აღნიშნა, რომ სასწავლო კურსის წინაპირობად სასკოლო საგნის მითითება, ნიშნავს იმას, რომ მოცემულ კურსს არანაირი წინაპირობა არ აქვს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ სხდომაზე წარმოდგენილ იქნა კორესპონდენცია, რომლითაც გამოსწორებულია ხარვეზები. აღნიშნულთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ექსპერტთა ვიზიტის დროს არსებული გარემოებების გათვალისწინებით და ვიზიტის შემდგომ შედგენილი დოკუმენტი მხედველობაში არ მიიღება.

2. მატერიალური რესურსთან დაკავშირებით:

დაწესებულებას გააჩნია სასწავლო ფართი ორ მისამართზე, ილია ჭავჭავაძის გამზირი №25 და თევდორე მღვდლის ქუჩა №13. ილია ჭავჭავაძის №25-ში საერთო ფართი შეადგენს 4641 კვ.მ., საიდანაც სასწავლო ფართს წარმოადგენს 2699.5 კვ.მ. დაწესებულებას იჯარის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული და 24 საათიანი სარგებლობის უფლებით ფლობს შპს - კლინიკური მედიცინის სამეცნიერო ინსტიტუტის საკუთრებაში არსებული ფართის ნაწილს 1500 კვ.მ-ს.

ზეპირ მოსმენაზე მომხსენებელმა განმარტა, რომ ექსპერტთა დასკვნის იმ ნაწილში სადაც საუბარია სასწავლო და დამხმარე ფართის ოდენობაზე, დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ ილია ჭავჭავაძის გამზირი №25 სასწავლო ფართის ოდენობად მითითებულია 2669.41 კვ.მ, ნაცვლად 2699.41 კვ.-ისა. შესაბამისად დამხმარე ფართის ოდენობად მითითებულია 1971.59 კვ.მ, ნაცვლად 1941.59 კვ.მ-ისა.

საბჭოს თავმჯდომარემ ითხოვა განმარტება რა განსხვავება იყო თვითშეფასების კითხვარში ასახული ფართის ოდენობას და ექსპერტთა ჯგუფის გადამოწმების შედეგად დადგენილ ოდენობას შორის. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მიერ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარში ჭავჭავაძის №25 შენობის სასწავლო ფართის საერთო რაოდენობად მითითებული იყო 3791კვ.მ., ექსპერტების მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგად აღნიშნულ მისამართზე დადასტურდა 2699.41 კვ.მ.

თავმჯდომარემ აღნიშნულ გარემობასთან დაკავშირებით განმარტება სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, რომელმაც აღნიშნა, რომ შენობაში ჩატარებულმა სარემონტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოებმა გამოიწვია ფართის შემცირება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის" 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 56^3-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტს მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვროს 1400-ით.

საბჭოს თავმჯდომარემ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს გიორგი ღავთაძეს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

7. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითშეფასების კითხვარებსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ჯგუფის წევრმა ლაშა მარგიშვილმა. მისი თქმით, დაწესებულების სურვილია, ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში განახორციელოს აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ამიტომ წარმოადგინა უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარები, რომელთა შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა დასკვნები.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამები თანდართული სილაბუსებით, მატერიალური რესურსი და ადამიანური რესურსი გადამოწმდა შემთხვევითი შერჩევის მეთოდით.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ გადაწყვეტილების მიღების დროს თითოეული პროგრამის დეტალურად შემოწმებას აქვს მნიშვნელობა, აქედან გამომდინარე, მისთვის შერჩევითი მეთოდის გამოყენებით მიუღებელი იყო დაწესებულების მიერ რეალიზებული პროგრამების გადამოწმება. მომხსენებელმა განმარტა, რომ სსიპ - აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ყველა პროგრამის კვალიფიკაცია იყო გადამოწმებული.

ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭიღლაძემ აღნიშნა, რომ სსიპ - აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი იყო დაახლოებით 165 საგანმანათლებლო პროგრამა, შესაბამისად, გარდა შერჩევითი მეთოდისა, ვერ მოხერხდებოდა სხვა რომელიმე მეთოდის გამოყენება და შესაბამისად გადამოწმება. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, თუ რამდენ პროგრამას ახორციელებს დაწესებულება, ავტორიზაციის მიზნებისთვის ყველა პროგრამა უნდა იყოს გადამოწმებული და შესწავლილი. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დავით ბოსტოღანაშვილმა

აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აბსოლუტური უმრავლესობა იქნა გადამოწმებული. ხოლო ის პროგრამები, რომლების მხოლოდ ნაწილი, ანუ მოცულობა და კვალიფიკაცია გადამოწმდა, იყო ძალიან მცირე. კახი ყურაშვილმა აღნიშნა, რომ მიუხედავად სასწავლო დაწესებულების სიდიდისა და პროგრამების რაოდენობისა, გადამოწმების მეთოდოლოგია ყველასათვის უნდა იყოს ერთგვაროვანი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ზეპირ მოსმენაზე ლაშა მარგიშვილმა ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემულ უარყოფით შეფასებებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით:

1.1 ბაკალავრიატის „გეოგრაფიის" საგანმანათლებლო პროგრამაში ინგლისურ და ქართულ ენაზე კვალიფიკაციები არ შეესაბამება ერთმანეთს, კონკრეტულად: მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ ენაზე არის „საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი", ინგლისურ ენაზე - „Bachelor of Natural Sciences (Geography)". მსგავსი შენიშვნა ფიქსირდება „ქიმიის" საგანმანათლებლო პროგრამაში: კვალიფიკაციის სახელწოდება ქართულ ენაზე არის „საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი", ინგლისურ ენაზე - „Bachelor of Natural Sciences in Chemistry" . მაგისტრატურის „ქიმიის" საგანმანათლებლო პროგრამაში ინგლისურ და ქართულ ენაზე კვალიფიკაციები არ შეესაბამება ერთმანეთს, კონკრეტულად: მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ ენაზე არის „საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მაგისტრი", ინგლისურ ენაზე - „Master of Natural Sciences in Chemistry .

1.2 „ქიმიის" საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა მოიცავს სასწავლო კურსებს: „მაკრომოლეკულების ქიმია - 1" და „მაკრომოლეკულების ქიმია - 2", რომელთა სწავლის მიზნები და შედეგები იდენტურია.

1.3 „პოლიტიკური მეცნიერებების" საგანმანათლებლო პროგრამაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ.

1.4 „განათლების მეცნიერებების" საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის „განათლების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლების" სილაბუსში ლიტერატურის ჩამონათვალში მითითებულია „რეკომენდირებული ლიტერატურა", ანუ არ არის გამიჯნული ჩამონათვალში ძირითადი და დამატებითი სახელმძღვანელოები.

ზეპირ მოსმენაზე საბჭოს წევრმა ნინო ძოწენიძემ აღნიშნა, რომ შედეგების მიხედვით სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოში არის ერთ-ერთი უძლიერესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენლებს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ღავთაძემ განმარტა, რომ დაწესებულების მიერ დასკვნაში აღნიშნული ხარვეზები ექსპერტთა ვიზიტის დროსვე იქნა გამოსწორებული.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა საავტორიზაციო ვიზიტის დროს იყო თუ არა მოცემული ხარვეზები გამოსწორებული. მაგალითად შენიშვნა - „ქიმიის" საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა მოიცავს სასწავლო კურსებს: „მაკრომოლეკულების ქიმია - 1" და „მაკრომოლეკულების ქიმია - 2", რომელთა სწავლის მიზნები და შედეგები იდენტური, იყო თუ არა გამოსწორებული ექსპერტთა დაწესებულებაში ყოფნის დროს, ანუ ვიზიტის დასრულებამდე. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დავით ბოსტოღანაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ გასწორებული ხარვეზები ექსპერტებს თავიანთ დასკვნაში არ დაუფიქსირებიათ. შესაბამისად, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები ექსპერტების დაწესებულებაში ყოფნის დროს არ იყო გამოსწორებული.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან დაკავშირებით სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია (კ.ყურაშვილის გარდა), რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

2. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით:

2.1 უნივერსიტეტის პირველ და მეოთხე კორპუსში (თამარ მეფის №59) და ჭავჭავაძის №21-ში განთავსებულ კორპუსში შესასვლელებში მოწყობილია პანდუსები, მეოთხე კორპუსში კი მოწყობის პროცესშია სველი წერტილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის. ამ კატეგორიის სტუდენტებისათვის აღნიშნულ კორპუსებში ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის და ფაკულტეტების ადმინისტრაცია, ასევე ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი. ახალგაზრდობის გამზირზე №98, მეშვიდე კორპუსის მხოლოდ შესასვლელია აღჭურვილი პანდუსით. დანარჩენი კორპუსები არაა აღჭურვილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის.

ზეპირ მოსმენაზე მომხსენებელმა განმარტა, რომ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რამდენიმე შენობა აღჭურვილი იყო პანდუსით. საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ პანდუსების არარსებობა ვერ გახდება შემაფერხებელი მიზეზი იმისა, რომ საბჭომ დადებითი გადაწყვეტილება მიიღოს, მითუმეტეს თუ კი დაწესებულების რამდენიმე შენობა აღჭურვილი იყო პანდუსით, იგი პრობლემას აღნიშნულ სტადარტთან მიმართებით ვერ ხედავდა. საბჭოს თავმჯდომარემ გაიზიარა დავით კახნიაშვილის მოსაზრება.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

3. ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით:

3.1 სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე ამჟამად უნივერსიტეტში სწავლობს სულ 7118 სტუდენტი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას ემსახურება 397 პროფესორი, რომელთაგან 2 (ფუტკარაძე ტარიელი და კუპატაძე თამაზი) არ ეთვლება უნივერსიტეტს ავტორიზაციის მიზნებისათვის. გარდა ამისა, პროფესორ-მასწავლებელთა რეესტრში ლობჟანიძე თენგიზი რეგისტრირებულია როგორც ასევე შპს - ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი.

კახი ყურაშვილი დაინტერესდა, როდესაც სრული პროფესორი კონკურსის საფუძველზე დაინიშნება ერთ-ერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და თუ პროფესორ-მასწავლებელთა რეესტრში აღმოჩნდება იგივე პიროვნება დარეგისტრირებული სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სადაც მას წლების მანძილზე აღარ ჩაუტარებია სალექციო კურსი, რომელ დაწესებულებას უნდა ჩაეთვალოს სრულ პროფესორად აღნიშნული პირი.

ზეპირ მოსმენაზე დავით ბოსტოღანაშვილმა დააზუსტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში აღნიშნული ორი სრული პროფესორი (ფუტკარაძე ტარიელი და კუპატაძე თამაზი) თავადვე არ ადასტურებენ, რომ ავტორიზაციის მიზნებისთვის შეიძლება ჩაითვალონ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრულ პროფესორებად. სრული პროფესორი ლობჟანიძე თენგიზი კი ადასტურებს, რომ იგი ავტორიზაცის მიზნებისთვის შეიძლება ჩაითვალოს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრულ პროფესორად. რეგისტრირებულია ასევე როგორც შპს - ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ორ სრულ პროფესორთან (ფუტკარაძე ტარიელი და კუპატაძე თამაზი) დაკავშირებით სადაო არაფერია, რადგან მათ თავადვე დაადასტურეს, რომ ავტორიზაციის მიზნებისთვის არ შეიძლება ჩაითვალნონ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრულ პროფესორებად. რაც შეეხება თენგიზ ლობჟანიძეს, მან საშუალება მისცა უმაღლეს სასწავლებელს, რომ ჩაეთვალა ის თავის აკადემიურ პერსონალად.
დავით კახნიაშვილმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის თანახმად აღნიშნული პირი რეგისტრირებული იყო ასევე შპს - ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორად, შესაბამისად, მას ავტორიზაციის მიზნებისთვის სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ღავთაძემ განმარტა, რომ იგი პირადად ესაუბრა თენგიზ ლობჟანიძეს, რომელმაც განაცხადა, რომ მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში არც ერთხელ არ ჩასულა ზუგდიდში.

კახი ყურაშვილმა აღნიშნა, რომ პროფესორ-მასწავლებელთა რეესტრში პედაგოგიურ პერსონალს არეგისტრირებს თავად სასწავლო დაწესებულება. მაგალითად, ორმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ რეესტრში დაარეგისტრირა ერთი და იგივე პიროვნება. პრობლემაა ის, თუ ავტორიზაციის მიზნებისთვის რომელ დაწესებულებას შეიძლება ჩაეთვალოს მოცემული პროფესორი. აღნიშნულის გასარკვევად არსებობს დამატებითი გარემოება, ანუ თვითონ აკადემიური თანამდებობის მქონე პირის პირადი განცხადება, თუ რომელ დაწესებულებას სურს რომ ჩაეთვალოს იგი ავტორიზაციის მიზნებისათვის.

დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ რომელ დაწესებულებასაც აირჩევს თავად პროფესორ-მასწავლებელი, იმ დაწესებულებას უნდა ჩაეთვალოს. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ღავთაძემ აღნიშნა, რომ თენგიზ ლობჟანიძემ 2010 წლის გაზაფხულზე კონკურსის ჩატარების დროს წერილობით დაადასტურა, რომ სურდა ჩათვლილიყო სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრულ პროფესორად.

საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით 3 სრული პროფესორიდან ერთი პროფესორი (თენგიზ ლობჟანიძე) უნდა ჩაეთვალოს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა გაიზიარეს თავმჯდომარის მოსაზრება.

საბჭომ იმსჯელა ადამიანური რესურსის სტანდარტთან სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე ასევე განხილულ იქნა დაწესებულების პირობები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილების ნაწილში, ვინაიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 13-ე მუხლის საფუძველზე, ავტორიზაციის მაძიებელს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების შემთხვევაში ასევე სურს განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

ზეპირ მოსმენაზე ლაშა მარგიშვილმა ისაუბრა **პროფესიული განათლების ნაწილში** ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემულ უარყოფით შეფასებებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით:

1.1 „ელექტრიკოსის" მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში მისანიჭებელი კვალიფიკაცია განსაზღვრულია შემდეგი სახით: ,,მეოთხე საფეხურის ელექტრიკოსის"; შესაბამისი სტანდარტით მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ,,ელექტრიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია".
1.2 ,,მზარეულის" მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია საგანი ,,ურთიერთობის ფსიქოლოგიის საფუძვლები", სილაბუსი კი წარმოდგენილია შემდეგი დასახელებით: ,,ურთიერთობის ფსიქოლოგია და ეთიკა".
1.3 უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები - ,,მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მანქანების ტექნიკოსის" მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და ,,აგროლოჯისტიკის ოპერატორის" მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებსაც არ ითვალისწინებს არც საკვალიფიკაციო ჩარჩო და არც მათი სტანდარტებია დამტკიცებული. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს" მე-5 დანართის თანახმად, ამ ბრძანების დანართი №4-ით გაუთვალისწინებელი მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება დასაშვებია, თუ მასზე დაწესებულებას მიღებული აქვს თანხმობა სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრისგან ავტორიზაციისას, ამ პროგრამის აკრედიტაციისას ან თვითშეფასების ანგარიშის წარდგენისას.

ზეპირ მოსმენაზე მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნული პროგრამები შეესაბამებოდნენ პროფესიული სტანდარტის პროექტებს. შესაბამისად, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭიღლაძემ განაცხადა, რომ ცენტრი სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს თანხმობას აძლევს აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაზე.

საბჭომ იმსჯელა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

2. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით:

2.1 უნივერსიტეტის პირველ და მეოთხე კორპუსში (თამარ მეფის №59) და ჭავჭავაძის №21-ში განთავსებულ კორპუსში შესასვლელებში მოწყობილია პანდუსები, მეოთხე კორპუსში კი მოწყობის პროცესშია სველი წერტილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის. ამ კატეგორიის სტუდენტებისათვის აღნიშნულ კორპუსებში ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის და ფაკულტეტების ადმინისტრაცია, ასევე ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი. ახალგაზრდობის გამზირზე №98, მეშვიდე კორპუსის მხოლოდ შესასვლელია აღჭურვილი პანდუსით. დანარჩენი კორპუსები არაა აღჭურვილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის.

საბჭოს წევრებამა აღნიშნეს, რომ მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, კერძოდ, იგივე შენობებში პანდუსების არარსებობაზე მათ უკვე იმსჯელეს, ამიტომ ავტორიზაციის საბჭომ საჭიროდ აღარ ჩათვალა განმეორებით დეტალურად ემსჯელა აღნიშნულ სტანდარტთან დაკავშირებით.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაკავშირებით სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ 23:10 წუთზე სხდომაზე გამოაცხადა შესვენება.
სხდომა განახლდა 23:23 წუთზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
მოწინააღმდეგე - 1

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის დამატებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
მოწინააღმდეგე - 1

კახი ყურაშვილმა განმარტა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება, რომ, მისი აზრით, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ვერ აკმაყოფილებს საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტს.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის” 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტის, 56^3-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს 2012-2013 სასწავლო წლიდან მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვროს 11 312-ით.
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება და პროფესიული სტუდენტების რაოდენობა განესაზღვროს 812-ით.

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - საქართველოს ეროვნული სოციალურ-ტექნოლოგიური უნივერსიტეტის წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ მათ საბჭოს წევრები მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

8. შპს - საქართველოს ეროვნული სოციალურ-ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - საქართველოს ეროვნული სოციალურ-ტექნოლოგიური უნივერსიტეტის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ჯგუფის წევრმა - ბექა ძამაშვილმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში მოცემულ შენიშვნებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით:

1.1. მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

1.1.1 უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა სრული ზოგადი საშუალო განათლების დამადასტურებელი, მასთან გათანაბერებული ან მასზე მეტი ძალის მქონე საგანმანათლებლო დოკუმენტის ფლობა, რაც არ შეესაბამება ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც, ,,უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის/ვეტერინარის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება აქვს მხოლოდ იმ აბიტურიენტს, რომელმაც გაიარა შესაბამისი ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად."

1.1.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში მითითებულია თითოეული დისციპლინის კრედიტების რაოდენობა, ჯამური საათები, რომლებიც მთლიანად ეთმობა ლექციას, სემინარს ან პრაქტიკულ მეცადინეობას. დამოუკიდებელი სამუშაო დრო საერთოდ გათვალისწინებული არ არის, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს", რომლის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ,,კრედიტი არ შეიძლება იქნეს გაანგარიშებული მხოლოდ სტუდენტის მიერ პროფესორ-მასწავლებლებთან სასწავლო გარემოში გატარებული საათების (საკონტაქტო საათების) მიხედვით".

1.1.3 საგანმანათლებლო პროგრამაში არის დისციპლინები, რომლებიც ისწავლება ორი ან მეტი სემესტრის განმავლობაში. სილაბუსებშიც მითითებულია, რომ ზოგიერთი საგანი ისწავლება ორ ან მეტ სემესტრში. აღნიშნული ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს", რომლის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმადაც, სასწავლო კურსი (საგანი) არის ერთსემესტრიანი (ერთტრიმესტრიანი).

1.1.4 საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, დისციპლინა ბიოქიმია არის 4-სემესტრიანი და 15-კრედიტიანი, მაგრამ წარმოდგენილია "ბიოქიმიის" სილაბუსი 2 სემესტრიანი და 6 კრედიტიანი. შესაბამისად პრაქტიკულად პროგრამით ვერ ხერხდება 360 კრედიტის დაგროვება, რაც ეწინააღმდეგება ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 47^1-ე პუნქტის პირველი პუნქტის მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა არის 360 კრედიტიანი. აგრეთვე დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი", რომლის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმადაც, სასწავლო კურსი (საგანი) არის ერთსემესტრიანი (ერთტრიმესტრიანი).

1.1.5 საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით გათვალისწინებულია 72 სასწავლო კურსი, მაგრამ უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ იქნა 47 სასწავლო კურსის სილაბუსი, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-9 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტის მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც, საგანმანათლებლო პროგრამას უნდა ჰქონდეს შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები);

1.1.6 საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში ცალკეა დისციპლინა „მეანობა", ცალკეა „გინეკოლოგია". ,,მეანობა" 6 კრედიტიანია და ისწავლება 2 სემესტრად, ხოლო „გინეკოლოგია" 6

კრედიტიანია და ისწავლება 2 სემესტრად. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა სილაბუსი „გინეკოლოგია, მეანობა და გინეკოლოგია“ 6-კრედიტიანი, 2 სემესტრად, კვირაში ერთი ლექცია და ერთი პრაქტიკული მეცადინეობა. შესაბამისად, ამ პრობლემის გათვალისწინებითაც ვერ ხერხდება 360 კრედიტის დაგროვება, რაც ეწინააღმდეგება ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 47[1]-ე პუნქტის პირველი პუნქტის მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა არის 360 კრედიტიანი.

1.1.7 სასწავლო კურსი „გენეტიკა“ საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით არის 3 სემესტრიანი, 8 კრედიტიანი. წარმოდგენილია სილაბუსი სასწავლო კურსში „ზოგადი გენეტიკა“, 6 კრედიტიანი, 2 სემესტრად. სასწავლო კურსის სტატუსში მითითებულია, რომ კურსი გათვალისწინებულია ,,ბიოლოგიის ფაკულტეტის" ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის. აღნიშნულ სილაბუსში შესწავლის წინაპირობებში მითითებულია, რომ სტუდენტი უნდა ფლობდეს საბაზისო ცოდნას ციტოლოგიაში, ბიოქიმიაში, თუმცა აღნიშნული საგნები ისწავლება იმავე, მეორე, მესამე და მეოთხე სემესტრებში, რომლებშიც ზოგადი გენეტიკა. შესაბამისად, შეუძლებელია ,,ზოგადი გენეტიკის" წინაპირობის დაკმაყოფილება.

1.1.8 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში დისციპლინა ,,ციტოლოგია, ჰისტოლოგია" 3-სემესტრიანია და 10-კრედიტიანი, თუმცა წარმოდგენილ იქნა ცალკე სილაბუსი ჰისტოლოგიაში, ცალკე - ციტოლოგიაში 2–2 კრედიტიანი. ციტოლოგია შემოდგომის სემესტრში, ჰისტოლოგია გაზაფხულის სემესტრში ისწავლება. სილაბუსებში მითითებული კრედიტების რაოდენობის გათვალისწინებით ვერ ხერხდება 360 კრედიტის დაგროვება, რაც ეწინააღმდეგება ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 47[1]-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა არის 360-კრედიტიანი.

1.1.9 საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია სასწავლო კურსი ,,ნევროლოგია" 8 კრედიტიანი, ხოლო წარმოდგენილია ,,ნევროპათოლოგიის" სილაბუსი, 4 კრედიტიანი. შესაბამისად პრაქტიკულად ვერ ხერხდება 360 კრედიტის დაგროვება, რაც ეწინააღმდეგება ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 47[1]-ე პუნქტის პირველი პუნქტის მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა არის 360 კრედიტიანი.

1.1.10 საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით „ადამიანის ნორმალური ანატომია“ 2 სემესტრიანია და 12-კრედიტიანი, წარმოდგენილი სილაბუსის თანახმად კი იგივე სასწავლო კურსი 6 კრედიტიანია (150 საათი). სასწავლო კურსის ფორმატში იკითხება, რომ ეს საათები ნაწილდება ლექციაზე და სემინარზე 25–25 საათი. შესაბამისად პრაქტიკულად ვერ ხერხდება

360 კრედიტის დაგროვება, რაც ეწინააღმდეგება ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 47[1]-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა არის 360-კრედიტიანი.

1.1.11 საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით გათვალისწინებულია 6-კრედიტიანი სასწავლო კურსი ,,მიკრობიოლოგიაში", 2-კრედიტიანი ,,ვირუსოლოგიაში" და 3-კრედიტიანი ,,იმუნოლოგიაში", თუმცა წარმოდგენილია 2 კრედიტიანი სილაბუსი ,,მიკრობიოლოგია ვირუსოლოგია იმუნოლოგიაში", რომელშიც 25 საათი საკონტაქტოა და 25 დამოუკიდებელი. შესაბამისად, პრაქტიკულად პროგრამით ვერ ხერხდება 360 კრედიტის დაგროვება, რაც ეწინააღმდეგება ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 47[1]-ე პუნქტის პირველი პუნქტის მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა არის 360 კრედიტიანი.

1.1.12 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში მითითებულია დისციპლინა ,,შინაგან სნეულებათა პროპედევტიკა", 9-კრედიტიანი, ხოლო წარმოდგენილ სილაბუსებში ეს დისციპლინა 6-კრედიტიანია. შესაბამისად, პრაქტიკულად შეუძლებელია პროგრამით გათვალისწინებული 360 კრედიტის დაგროვება, რაც ეწინააღმდეგება ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 47[1]-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა არის 360 კრედიტიანი.

1.1.13 საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული 360 კრედიტიდან 56 კრედიტი მოდის არჩევით დისციპლინებზე. პროგრამა ისეა აგებული, რომ 360 კრედიტი მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი აირჩევს ყველა არჩევით საგანს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს საგნები არჩევითი კი არ არის, მათი გავლა სტუდენტისთვის სავალდებულოა.

1.1.14 დისციპლინები ,,უცხო ენა" და „ინფორმატიკა" საგანმანათლებლო პროგრამაში ისწავლება, როგორც არჩევითი დისციპლინები. აქედან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამა ვერ უზრუნველყოფს გამოუმუშაოს სტუდენტს კომუნიკაციის უნარ–ჩვევები.

1.1.15 საგანმანათლებლო პროგრამაში არ არის მითითებული სწავლების მეთოდოლოგია, რომლის არსებობაც აუცილებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-9 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტის მიხედვით.

ზეპირ მოზმენაზე, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ იზიარებდა არც ერთ შენიშვნას, გარდა კორექტურული შენიშვნებისა და ყველაფერს საბჭოს წინაშე დაასაბუთებდა. მან აღნიშნა, რომ არასწორი იყო ექსპერტთა შეფასება მეთოდოლოგიის არარსებობის თაობაზე და სთხოვა მომხსენებელს განემარტა რას ნიშნავადა მეთოდოლოგია და დაესახელებინა პროგრამა, რომელშიც არ იყო მეთოდოლოგია. მომხსენებელმა მაგალითისთვის დაასახელა მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა და განმარტა, რომ მეთოდოლოგია არის იმ მეთოდების ერთობლიობა, რომელთა გამოყენებითაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი ლექციებსა თუ სამუშაო ჯგუფებში. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებაში ტარდებოდა ლექცია-სემინარები და პრაქტიკული მეცადინეობები და ეს იყო მეთოდოლოგია.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ლექცია-სემინარი არ შეიძლება იყოს მეთოდოლოგია. მეთოდოლოგია არის ამ ლექცია-სემინარებზე სასწავლო პროცესი წარმართვის ფორმა, რომელიც შეიძლება იყოს შედარებითი ანალიზის, დიალექტიკური კვლევის, სისტემური კვლევის.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა განმარტება იმ სილაბუსებთან დაკავშირებით, რომლებიც უფრო ნაკლებ კრედიტიანი იყო ვიდრე ეს საგანმანათლებლო პროგრამით იყო გაწერილი. მაგალითისთვის სასწავლო კურსი ,,გენეტიკა", პროგრამის მიხედვით არის 3 სემესტრიანი, 8 კრედიტიანი. წარმოდგენილია სილაბუსი სასწავლო კურსში „ზოგადი გენეტიკა", 6 კრედიტიანი, 2 სემესტრად.

დაწესებულების წარმომადგენელმა ვერ წარმოადგინა არგუმენტი, რომელიც გააქარწყლებდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადგენილ ხარვეზს.

თავმჯდომარემ განმარტება ითხოვა ციტოლოგია, ჰისტოლოგიასთან მიმართებით, რომელიც 3-სემესტრიანია და 10-კრედიტიანი, თუმცა წარმოდგენილ იქნა ცალკე სილაბუსი ჰისტოლოგიაში, ცალკე - ციტოლოგიაში 2–2 კრედიტიანი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ვერ წარმოადგინა არგუმენტი, რომელიც გააქარწყლებდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადგენილ ხარვეზს.

თავმჯდომარემ განმარტება ითხოვა ,,ნევროლოგიასთან" მიმართებით. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით დაშვებული იყო ტექნიკური შეცდომა.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა განმარტება ითხოვა მეანობასა და გინეკოლოგიასთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა ვერ წარმოადგინა არგუმენტი, რომელიც გააქარწყლებდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადგენილ ხარვეზს. მან ისაუბრა ფიზიოლოგიასთან დაკავშირებით. საბჭოს თავმჯდომარემ, განუმარტა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ ფიზიოლოგიასთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

1.2. ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამა

1.2.1. ,,ერთსაფეხურიან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში" მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის ,,კომპიუტერულ მეცნიერებათა ბაკალავრი", რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ,,მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალს", რომლის მიხედვითაც, მისანიჭებელი კვალიფიკაცია უნდა იყოს: ,,ინჟინერიის ბაკალავრი", ,,ინფორმატიკის ბაკალავრი" ან ,,ინჟინერიის ბაკალავრი ინფორმატიკაში".

1.2.2. საგანმანათლებლო პროგრამაში არ არის მითითებული სწავლების მეთოდოლოგია, რომლის არსებობაც აუცილებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-9 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტის მიხედვით.

1.2.3. საგანმანათლებლო პროგრამაში უცხო ენა ისწავლება, როგორც არჩევითი საგანი, შესაბამისად პროგრამა ყველა სტუდენტისთვის ვერ უზრუნველყოფს კომუნიკაციის უნარის გამომუშავებას უცხო ენის ნაწილში;

1.2.4. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ისწავლება 12 არჩევითი საგანი, თუმცა რეალურად საგანამანათლებლო პროგრამა ვერ უზრუნველყოფს არჩევანს, ვინაიდან თუ პროგრამაზე ჩარიცხული პირი არ აირჩევს თორმეტივე საგანს, ვერ დააგროვებს 240 კრედიტს. შესაბამისად ყველა საგანი სავალდებულოა;

1.2.5. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ისწავლება შემდეგი სავალდებულო კურსები: ,,დაპროგრამების საფუძვლები", ,,ოპერაციული სისტემები", ,,კომპიუტერის აგების ფიზიკური საფუძვლები", ,,კომპიუტერული არქიტექტურა და ქსელები". აღნიშნული საგნების წინაპირობა არის „კალკულუსის" კურსი, რომელიც საერთოდ არ ისწავლება პროგრამის ფარგლებში, შესაბამისად შეუძლებელია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება.

1.2.6. საგნმანათლებლო პროგრამაზე ისწავლება სავალდებულო საგანი „ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება", რომლის წინაპირობაა ,,ინფორმატიკის საფუძვლები",

,,ალგორითმების თეორიის შესავალი", "დაპროგრამების შესავალი". ,,ალგორითმების თეორიის შესავალი" საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საერთოდ არ ისწავლება, ხოლო დანარჩენ ორ საგანთან მიმართებით მოცემულია მსგავსი სახელწოდების სასწავლო კურსები: „შესავალი ინფორმატიკაში" და „დაპროგრამების საფუძვლები". ამდენად, სავალდებულო საგნის არჩევა შეუძლებელია, რაც იმას ნიშნავს, რომ პროგრამა ვერ განხორციელდება.

1.2.7. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებული სასწავლო კურსებიდან 24 საგანი ორსემესტრიანი, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს", რომლის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმადაც, სასწავლო კურსი (საგანი) არის ერთსემესტრიანი (ერთტრიმესტრიანი).

1.2.8. ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამას თან არ ახლდა შემდეგი საგნების სილაბუსები:

ა) საგანგებო სიტუაციები და სამოქალაქო თავდაცვა; (დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის სასწავლო პროგრამა, რომელის სწავლებაც საქარველოს განათლების მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2001 წლის 28 მაისის ბრძანებით #122/198 სავალდებულო გახდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში);

ბ) ,,დაპროგრამების თეორია და პრაქტიკა";

გ),,სამეცნიერო კვლევითი მუშაობა და მინი პროექტები"; დაწესებულების წარმომადგენელების განმარტებით აღნიშნული საგნის სილაბუსი არ არსებობს და შემუშავდება მოგვიანებით, როდესაც დაიწყება სწავლა ამ პროგრამაზე.

აღნიშნული ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-9 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტის მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც, საგანმანათლებლო პროგრამას უნდა ჰქონდეს შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები);

1.3. ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამა

1.3.1. საგანმანათლებლო პროგრამაში არ არის მითითებული სწავლების მეთოდოლოგია, რომლის არსებობაც აუცილებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-9 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტის მიხედვით.

1.3.2. საგანმანათლებლო პროგრამაში უცხო ენა ისწავლება, როგორც არჩევითი საგანი, შესაბამისად პროგრამა ყველა სტუდენტისთვის ვერ უზრუნველყოფს კომუნიკაციის უნარის გამომუშავებას უცხო ენის ნაწილში.

1.3.3. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ისწავლება 12 არჩევითი საგანი, თუმცა რეალურად საგანამანათლებლო პროგრამა ვერ უზრუნველყოფს არჩევანს, ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ პროგრამაზე ჩარიცხული პირი ვერ დააგროვებს 120 კრედიტს, თუ ის არ აირჩევს ყველა საგანს. შესაბამისად ყველა საგანი სავალდებულოა.

1.3.4. საგანმანათლებლო პროგრამაზე ისწავლება სავალდებულო საგანი „ობიექტზე ორინეტირებული დაპროგრამება", რომლის წინაპირობაა ,,ინფორმატიკის საფუძვლები", ,,ალგორითმების თეორიის შესავალი", ,,დაპროგრამების შესავალი". აღნიშნული საგნები საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საერთოდ არ ისწავლება, შესაბამისად შეუძლებელია სავალდებულო საგნების არჩევა, რაც იმას ნიშნავს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ვერ განხორციელდება.

1.3.5. პროგრამაზე ისწავლება სავალდებულო საგანი ,,მონაცემთა ბაზა", რომლის წინაპირობაა „ოპერაციული სისტემები", ,,ინფორმატიკის საფუძვლები", ,,დაპროგრამების საფუძვლები", ,,მათემატიკური ლოგიკისა და ალგორითმთა თეორიის ელემენტები". აღნიშნული საგნები საერთოდ არ ისწავლება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, შესაბამისად შეუძლებელია სავალდებულო საგნების არჩევა, რაც იმას ნიშნავს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ვერ განხორციელდება.

1.3.6. საგნები „მონაცემთა დამუშავების სტატისტიკური მეთოდები" და „კომპიუტერული მოდელირების ტექნოლოგიები" ისწავლება ინფორმატიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამაზე, რომელთა სილაბუსები იდენტურია. შესაბამისად, იდენტურია სწავლის მიზნები და შედეგებიც, ეს კი ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს" მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც, ,,უმაღლესი განათლების საფეხურები, სწავლის შედეგების მიხედვით, აღწერილია იერარქიულად. უმაღლესი განათლების ყოველი მომდევნო საფეხური გულისხმობს წინა საფეხურზე მიღებული სწავლის შედეგების საფუძველზე დამატებითი სწავლის შედეგების მიღწევას''.

1.3.7. „კომპილატორების აგების თანამედროვე მეთოდები“ ბაკალავრიატში არის 10 კრედიტიანი, ხოლო მაგისტრატურაში 5 კრედიტიანი. სილაბუსების მიხედვით მიზნები, შინაარსი და სწავლის შედეგი იდენტურია, ეს კი ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს" მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც, ,,უმაღლესი განათლების საფეხურები, სწავლის შედეგების მიხედვით, აღწერილია იერარქიულად. უმაღლესი განათლების ყოველი მომდევნო საფეხური გულისხმობს წინა საფეხურზე მიღებული სწავლის შედეგების საფუძველზე დამატებითი სწავლის შედეგების მიღწევას".

1.3.8. ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამას თან არ ახლდა შემდეგი საგნების სილაბუსები:

1."სამეცნერო კვლევითი მუშაობის მინი პროექტები";

2."დაპროგრამება VIC";

აღნიშნული ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-9 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტის მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც, საგანმანათლებლო პროგრამას უნდა ჰქონდეს შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები).

ზეპირ მოსმენაზე, თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა, როგორ ახსნიდა იმ გარემობას, რომ პროგრამაზე ისწავლება სავალდებულო საგანი ,,მონაცემთა ბაზა", რომლის წინაპირობაა „ოპერაციული სისტემები", ,,ინფორმატიკის საფუძვლები", ,,დაპროგრამების საფუძვლები", ,,მათემატიკური ლოგიკისა და ალგორითმთა თეორიის ელემენტები". აღნიშნული საგნები კი საერთოდ არ ისწავლება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

რექტორის განმარტებით წინაპირობები ისწავლებოდა პროგრამის ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომაზე გამოიკვლია ,,მონაცემთა ბაზის" სილაბუსი, ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამა და დაადგინა, რომ პროგრამის ფარგლებში სილაბუსით გათვალისწინებული წინაპირობები არ ისწავლებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ წინაპირობებად მითითებული საგნები ისწავლებოდა საბაკალავრო პროგრამაზე.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, იოსებ სალუქვაძემ, კითხვა დაუსვა დაწესებულების წარმომადგენელს როგორ უნდა დაეკმაყოფილებინა წინაპირობა იმ სტუდენტს, რომელიც სხვა დაწესებულებიდან გადმოვიდოდა.

რექტორის განმარტებით ამ დროს სტუდენტმა უნდა ჩააბაროს დამატებითი გამოცდები.

ზეპირ მოსმენაზე გამოკვლევის შედეგად დაგინდა, რომ საბაკალავრო პროგრამაზეც მხოლოდ წინაპირობების ნაწილი ისწავლებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტება სთხოვა დაწესებულების რექტორს უცხო ენისა და ინფორმატიკის არჩევით კურსებად დაფიქსირებასთან მიმართებით. რექტორის განმარტებით, დაწესებულებაში სტუდენტებმა იმდენად კარგად იციან უცხო ენა და კომპიუტერი, რომ მათ აღნიშნული საგნების სწავლება აღა ესაჭიროებათ.

საბჭოს თავმჯდომარემ არ გაიზიარა დაწესებულების პოზიცია, რადგან ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად, პროგრამა სტუდენტს უნდა უვითარებდეს კომუნიკაციის უნარს უცხო ენასა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ნაწილში.

რექტორის განცხადებით, დაწესებულება გაითვალისწინებდა შენიშვნას.

საბჭოს წევრმა, ანა კლდიაშვილმა დაწესებულების წარმომადგენელს განმარტება სთხოვა ორსემესტრიან და სამსემესტრიან საგნებთან მიმართებით. რექტორის განცხადებით, არ შეიძლება ზოგიერთი საგანი ერთ სემესტრში ჩაეტიოს, რადგან ერთ სემესტრში სტუდენტს სჭირდება გააზრება.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებას განუმარტა, რომ მინისტრის ბრძანებით იყო სავალდებულოდ დადგენილი ერთსემესტრიანი სასწავლო კურსების არსებობა.

დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ მისთვის მიუღებელი იყო ბრძანების მოთხოვნა და დაწესებულება მოქმედებდა საკუთარი წესდებით.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს განუმარტა, რომ წესდება იყო შიდამარეგულირებელი აქტი, ხოლო მინისტრის ბრძანება ნორმატიული აქტი, რომელიც შესასრულებლად სავალდებულოა მიუხედავად იმისა, დაწესებულება იზიარებს თუ არა მასში მოცემულ მოთხოვნებს.

1.4. საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა–საფინანსო საქმე

1.4.1. საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით ,,მისანიჭებელი აკადემიური ხარისხია" საფინანსო საქმიანობის ბაკალავრი, რაც არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ,,მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალის", რომლის მიხედვითაც მისანიჭებელი კვალიფიკაცია უნდა იყოს: ,,ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი", ,,ფინანსების ბაკალავრი", ,,ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში".

1.4.2. „საფინანსო საქმის" სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრმაში არ არის მითითებული დამტკიცების თარიღი.

1.4.3. საგანმანათლებლო პროგრამაში 32 საგნიდან 25 ორსემესტრიანია, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს", რომლის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმადაც, სასწავლო კურსი (საგანი) არის ერთსემესტრიანი (ერთტრიმესტრიანი).

1.4.4. პროგრამის ფარგლებში 10 საგანი არჩევითია, რომელთა კრედიტების ჯამური რაოდენობა 59 კრედიტი შედის პროგრამით გათვალისწინებულ, სავალდებულო 240 კრედიტში. ამდენად, აღნიშნული საგნები არჩევითი კი არა სავალდებულოა.

1.4.5. არჩევითია ინგლისური ენისა და ინფორმატიკის სასწავლო კურსები, შესაბამისად პროგრამა ყველა სტუდენტისთვის ვერ უზრუნველყოფს კომუნიკაციის უნარის გამომუშავებას უცხო ენისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ნაწილში.

1.4.6. სასწავლო კურსი ,,აგრარული ეკონომიკა", სასწავლო გეგმის მიხედვით 8 კრედიტიანია, ხოლო სილაბუსის მიხედვით 2 კრედიტიანია, შესაბამისად, პრაქტიკულად პროგრამით ვერ ხერხდება 240 კრედიტის დაგროვება, რაც ეწინააღმდეგება ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 46-ე პუნქტის მეორე პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც პირველი საფეხური (ბაკალავრიატი) მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს;

ზეპირ მოსმენაზე რექტორის განმარტებით დაშვებული იყო ტექნიკური შეცდომა რაც უკვე გამოსწორებულია დაწესებულების მიერ.

1.4.7. სილაბუსებში ,,სტატისტიკის ზოგადი თეორია" და „საფინანსო სტატისტიკა", კურსის წამყვან პროფესორად მითითებულია აწ. გარდაცვლილი პროფესორი ოთარ წივილაშვილი. ექსპერტთა ჯგუფის ერთ-ერთჯ წევრი პირადად იცნობდა და 2010 წლის ნოემერში

გარდაიცვალა. რაოდენობაში არ ჩავუთვალეთ. ამ საგანში ცოცხალი პროფესორის სილაბუსიც იყო.

ზეპირ მოსმენაზე საბჭოს თავმჯდომარემ მომხსენებელს ჰკითხა ესქპერტთა ჯგუფმა როგორ დაადგინა, რომ პროფესორი იყო გარდაცვლილი. მომხსენებლის განმარტებით აღნიშნულ პიროვნებას პირადად იცნობდა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მარინა გედევანიშვილი, რომელიც ფლობდა ამ ინფორმაციას. მარინა გედევანიშვილმა სხდომაზე დაადასტურა, რომ ოთარ წივილაშვილი 2010 წლის ნოემბერში იყო გარდაცვლილი.

დაწესებულების რექტორის განმარტებით, სილაბუსში ოთარ წივილაშვილი შეტანილ იქნა გარაცვალებამდე და მისი გარდაცვალების შემდეგ აღარ მოხდა სილაბუსიდან მისი ამოშლა. ამასთან სილაბუსს სხვა ავტორებიც ჰყავდა მის გარდა. მომხსენებელმა დაადასტურა, რომ აღნიშნულ სილაბუსში მითითებული იყო რამოდენიმე პროფესორი.

1.4.8. სილაბუსში „საერთაშორისო ეკონომიკა", კურსი 5 კრედიტიანია, 125 საათი, მათ შორის 45 საათი საკონტაქტო დროა, თუმცა იქვე მითითებულია, რომ 63 საათი ლექციაა, ხოლო 62 საათი სემინარი. დამოუკიდებლად მოშაობის დრო საერთოდ გათვალისწინებული არ არის. თითოეულ კვირაში გათვალისწინებულია 8 საათი – 4 ლექცია და 4 სემინარი (დანართი 23, 5 გვერდად). როგორც გამოთვლებით ირკვევა საათების საერთო რაოდენობა არის არა 125, არამედ 121 საათი. ეს კი ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს", რომლის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვითაც, ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25-30 ასტრონომიული საათის განმავლობაში.

ზეპირ მოსმენაზე დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ დაშვებული იყო ტექნიკური შეცდომა.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტება ითხოვა მისანიჭებელი კვალიფიკაციის კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შეუსაბამობის საკითხთან დაკავშირებით. რექტორის განმარტებით, ფინანსების ბაკალავრი და საფინანსო საქმის ბაკალავრი ერთი და იგივე იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს განუმარტა, რომ კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო დამტკიცდა იმ მიზნით, რომ საქართველოში ყველა დაწესებულებას კვალიფიკაცია ერთნაირად მიენიჭებინა. მისანიჭებელი კვალიფიკაცია უნდა იყოს ზუსტად ისეთი, როგორსაც ითხოვს კვალიფიკაციების ჩარჩო.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული პროგრამა შედგენილ იქნა მაშინ, როდესაც ჩარჩო ჯერ არ იყო. როდესაც დაწესებულებამ საავტორიზაციო განაცხადი შეიტანა ამას მნიშვნელობა არ მიენიჭა და დიდი სიამოვნებით მოხდებოდა შენიშვნის გაზიარება.

1.5.სამაგისტრო პროგრამა სპეციალობაში–საფინანსო საქმე

1.5.1. საგანამანათლებლო პროგრამაში მისანიჭებელი „აკადემიური ხარისხია საფინანსო საქმის მაგისტრი", რაც არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ,,მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალს". პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა „საფინანსო ბაკალავრის აკადემიური ხარისხი".

1.5.2. „საფინანსო საქმის" სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულია 15 სასწავლო კურსი (საერთო მოცულობით 110 კრედიტი) და 10 კრედიტიანი სამაგისტრო ნაშრომი. 15 სასწავლო კურსიდან 7 სასწავლო კურსი 2 სემესტრიანია, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს", რომლის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმადაც, სასწავლო კურსი (საგანი) არის ერთსემესტრიანი (ერთტრიმესტრიანი).

1.5.3. 15 სასწავლო კურსიდან 5 სასწავლო კურსი (ჯამში 25 კრედიტის ოდენობით) არჩევითია. ამასთან, პროგრამა ისეა აგებული, რომ თუ პირი არ გაივლის არჩევით კურსებს, მაშინ ის ვერ დააგროვებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ 120 კრედიტს.

1.5.4. სასწავლო კურსი „ინფორმატიკა" მოიაზრება არჩევითი კურსად. გარდა ამისა სამაგისტრო პროგრამაში არ არის გათვალისწინებული უცხო ენის სწავლება, რაც იმას ნიშნავს, რომ კურსდამთავრებულს ვერ განუვითარდება კომუნიკაციის უნარი უცხო ენისა და კომუნიკაციის ნაწილში;

1.5.5. ვერ იქნა წარმოდგენილი შემდეგი სილაბუსები:

ა) ,,საქართველოს საფინანსო პოლიტიკა";

ბ) ,,მმართველობითი და ფინანსური აღრიცხვა";

აღნიშნული ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის დებულების" მე-9 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტის მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც, საგანმანათლებლო პროგრამას უნდა ჰქონდეს შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები);

1.5.6. საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალ სილაბუსებში არ არის მითითებული საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა;

1.5.7. სილაბუსში „საგადასახადო საქმე" და „მმართველობითი და ფინანსური აღრიცხვა" კურსის წამყვან პროფესორად მოხენიებულია აწ.გარდაცვლილი პროფესორი ოთარ წივილაშვილი.

1.6.სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა უნივერსიტეტში მილევად რეჟიმშია.

1.6.1. საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგები არ არის გაწერილი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების მიხედვით;

ზეპირ მოსმენაზე გამოირკვა, რომ დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები პროგრამაში ასახული იყო და საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნა.

1.6.2. საგანმანათლებლო პროგრამაში უცხო ენა და ინფორმატიკა ისწავლება არჩევით საგნად, შესაბამისად მისი არ არჩევის შემთხვევაში პროგრამაზე სტუდენტს ვერ გამოუმუშავდება კომუნიკაციის უნარი უცხო ენისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ნაწილში;

1.6.3. სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამას თან არ ახლდა შემდეგი საგნების სილაბუსები:

ა) საგანგებო სიტუაციები და სამოქალაქო თავდაცვა (დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის სასწავლო პროგრამა, რომლის სწავლებაც საქართველოს განათლების მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2001 წლის 28 მაისის ბრძანებით №122/198 სავალდებულო გახდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში);

ბ) სამხედრო სამართალი;

გ) ეტიკეტი და დიპლომატიური სამართალი;

დ) საპატენტო სამართალი;

აღნიშნული ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-9 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტის მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც, საგანმანათლებლო პროგრამას უნდა ჰქონდეს შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები);

ეს სილაბუსები რატომ არ წარუდგინეთ?

ზოგი წარვუდგინეთ და ზოგი არა.

1.6.4. საგანმანათლებლო პროგრამაში 14 საგანი ორსემესტრიანი, ხოლო 4 საგანი 3 სემესტრიანია, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს", რომლის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმადაც, სასწავლო კურსი (საგანი) არის ერთსემესტრიანი (ერთტრიმესტრიანი);

1.6.5. საგნების „პოლიტიკური და სამართალმოძღვრებათა ისტორია", ,,სამართალდამცავი ორგანოები", ,,სახელმწიფო სამართლის თეორია", ,,სისხლის სამარათალი", შესწავლის წინაპირობაა სამართალმცოდნეობის საფუძვლები, რომელიც საერთოდ არ ისწავლება პროგრამის ფარგლებში.

1.6.6 საგანმანათლებლო პროგრამაში არ არის მითითებული მისანიჭებელი კვალიფიკაცია.

1.7 დაწესებულებაში არ არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი). რექტორის განცხადებით კატალოგი ერთიანი დოკუმენტის სახით არ არსებობს.

ზეპირ მოსმენაზე რექტორმა განაცხადა, რომ კატალოგი განთავსებული იყო დაწესებულების ვებგვერდზე.

საბჭომ ადგილზე გადაამოწმა დაწესებულების ვებგვერდი და კატალოგი არ აღმოჩნდა განთავსებული.

1.8 საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები ძირითადად გაწერილია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისად, თუმცა ზოგადად საგანმანათლებლო პროგრამების შედეგებში ფიქსირდება შემდეგი სახის ხარვეზები. კერძოდ: „უცხო ენა" და „ინფორმატიკა" ისწავლება არჩევით საგნებად, შესაბამისად მათი არ არჩევის შემთხვევაში

სტუდენტს ვერ გამოუმუშავდება კომუნიკაციის უნარი უცხო ენისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ნაწილში.

1.9 დაწესებულებას სადამფუძნებლო სამეცნიერო საბჭოს ოქმით №3 (23.09.10) დამტკიცებული აქვს უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის და მიღებული განათლების აღიარების წესები სწავლების საფეხურების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტში საერთოდ არ არის საუბარი მიღებული განათლების აღიარების წესზე. რაც შეეხება მობილობას, აღნიშნული დოკუმენტის მე–5 პუნქტის მიხედვით ბაკალავრიატში სტუდენტის მოძრაობა (მობილობა) შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს აქვს საპატიო მიზეზი, ეს კი ეწინააღდეგება ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის" მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს, რომლის მიხდვითაც სწავლების მეორე წლიდან სტუდენტს აქვს მობილობის უფლება და მას არ სჭირდება რაიმე საპატიო მიზეზის არსებობა ამ უფლების რეალიზებისთვის.

ზეპირ მოსმენაზე საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა განმარტება რა იგულისხმებოდა საპატიო მიზეზში მობილობასთან მიმართებით.

რექტორმა განმარტა, რომ დაწესებულებების მიერ მიმდინარეობდა სტუდენტების ტრეფიკინგი და დატაცება. თუ სტუდენტს უნდა სხვა სასწავლებელში გადასვლა მან უნდა გადაიხადოს სწავლის საფასური.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების რექტორს განუმარტა, რომ სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო დაწესებულება უფლებამოსილი არ იყო სტუდენტისთვის ჩამოერთმია მობილობის უფლება, მას შეეძლო სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად მოეთხოვა ხელშეკრულებიტ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

რექტრომა აღნიშნა, რომ დაწესებულება გაითვალისწინებდა შენიშვნას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან შპს - საქართველოს ეროვნული სოციალურ-ტექნოლოგიური უნივერსიტეტის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

2. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით:

2.1. ქ. თბილისში, ბალანჩივაძის ქუჩაზე, კორპუსი N5–ში მდებარე ფართიდან 53.95 კვ.მ არის დაწესებულების რექტორის, გიორგი ჭინჭარაულის საკუთრება. 2008 წლის 20 იანვარს გიორგი ჭინჭარაულსა და საქართველოს ეროვნულ სოციალურ-ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილის უფროსს, ნ. პატურაშვილს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლითაც გიორგი ჭინჭარაული იჯარით გადასცემს დაწესებულებას აღნიშნულ ფართს. აღშსანიშნავია, რომ დაწესებულების მხრიდან ვერ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება, რომ სასწავლო ნაწილი უფლებამოსილი იყო დაწესებულების სახელით დაედო გარიგება. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მონაცემებით შპს - საქართველოს ეროვნულ სოციალურ–ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი არის მხოლოდ გიორგი ჭინჭარაული.

დაწესებულებაში არსებობს 2011 წლის 20 იანვრით დათარიღებული რექტორის თანხმობა, რომლის მიხედვითაც გიორგი ჭინჭარაული მის საკუთრებაში არსებულ ფართს იჯარით გადასცემს შპს – საქართველოს ეროვნულ სოციალურ–ტექნოლოგიურ უნივერსიტეტს.

საჯარო რეესტრის მონაცემებით, ქ. თბილისში ბალანჩივაძის ქუჩაზე, კორპუსი N5–ში მდებარე 53.95 კვ.მ ფართი არის გიორგი ჭინჭარაულის საკუთრება და შპს – საქართველოს ეროვნული სოციალურ–ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სარგებლობის უფლება აღნიშნულ ფართზე რეგისტრირებული არ არის. შესაბამისად, არ დგინდება დაწესებულების სარგებლობის უფლება.

2.2. გიორგი ჭინჭარაულსა და შპს – საქართველოს ეროვნული სოციალურ ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, თ. ჭყრუნიშვილს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლითაც გიორგი ჭინჭარაული დაწესებულებას იჯარით გადასცემს ქ. თბილისში, ავშნიანის აღმართი N9–ში მდებარე 630 კვ.მ. ფართს.

აღშსანიშნავია, რომ დაწესებულების მხრიდან ვერ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომლითაც დადასტურდება, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი უფლებამოსილი იყო დაწესებულების სახელით დაედო გარიგება. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მონაცემებით შპს – საქართველოს ეროვნულ სოციალურ–ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი არის მხოლოდ გიორგი ჭინჭარაული.

დაწესებულებაში არსებობს 2011 წლის 20 იანვრით დათარიღებული რექტორის თანხმობა, რომლის მიხედვითაც გიორგი ჭინჭარაული მის საკუთრებაში არსებულ ფართს იჯარის სახით გადასცემს შპს – საქართველოს ეროვნულ სოციალურ–ტექნოლოგიურ უნივერსიტეტს.

საჯარო რეესტრის მონაცემებით, ქ. თბილისში ავშნიანში მდებარე 630 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი N72.13.40.305) არის გიორგი ჭინჭარაულის საკუთრება და შპს – საქართველოს ეროვნული

სოციალურ–ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სარგებლობის უფლება აღნიშნულ ფართზე რეგისტრირებული არ არის. შესაბამისად, არ დგინდება დაწესებულების სარგებლობის უფლება.

2.3. შპს – საქართველოს ეროვნული სოციალურ–ტექნოლოგიური უნივერსიტეტის რექტორ გიორგი ჭინჭარაულსა და რეზო ჩაჩანიძეს შორის 2011 წლის 20 იანვარს გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლითაც რეზო ჩაჩანიძე არანაკლებ 6 წლის ვადით იჯარით გადასცემს ავშნიანში მდებარე საკუთარ 250 კვ.მ. ფართს საქართველოს ეროვნულ სოციალურ - ტექნოლოგიურ უნივერსიტეტს.

საჯარო რეესტრის მონაცემებით, ქ. თბილისში ავშნიანში მდებარე 250 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი N72.13.40.081) არის რეზო ჩაჩანიძის საკუთრება და შპს – საქართველოს ეროვნული სოციალურ–ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სარგებლობის უფლება აღნიშნულ ფართზე რეგისტრირებული არ არის. შესაბამისად, არ დგინდება დაწესებულების სარგებლობის უფლება.

საავტორიზაციო ვიზიტის დროს აღნიშნული ფართი დაკეტილი იყო, მესაკუთრე არ იმყოფებოდა ადგილზე. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვერ მოხერხდა ფართის შემოწმება.

ზეპირ მოსმენაზე საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა საჯარო რეესტრში იყო თუ არა რეგისტრირებული დაწესებულების სარგებლობის უფლება. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სარგებლობის უფლება რეგისტრირებული არ იყო.

სხდომაზე დაწესებულების რექტორმა წარადგინა საჯარო რეესტრიდან ამონაწერი, რომელიც შესრულებული იყო 2011 წლის 11 ივლისს და დასტურდებოდა დაწესებულების სარგებლობის უფლება.

საბჭოს თავმჯდომარემ მოითხოვა, ენახათ ადგილზე რა ფართებზე იყო საუბარი. გამოაქვეყნეს სურათები. თავმჯდომარემ აღნიშნა, წარმოდგენილ სურათებში მოცემული იყო კერძო საცხოვრებელი სახლი.

2.4. შპს – საქართველოს ეროვნულ სოციალურ–ტექნოლოგიურ უნივერსიტეტსა და შპს – N5 საავადმყოფო–პოლიკლინიკურ გაერთიანებას შორის გაფორმებულია შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, ,,უნივერსიტეტი არა ნაკლებ სწავლების ერთი სრული კურსის ვადით იჯარით აიღებს შპს N5 საავადმყოფო–პოლოკლინიკური გაერთიანებისგან 1000 (ათას) კვადრატულ მეტრ ფართს, ასევე სწავლებისათვის საჭირო სხვა მატერიალურ–ტექნიკურ საშუალებებს,

განახორციელებს სწავლებას საქართველოს კანონმდებლობისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების საფუძველზე".

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ვერ იქნა საჯარო რეესტრიდან ამონაწერი, რომლითაც დადასტურდება, აქვს თუ არა დაწესებულებას სარგებლობის უფლება 1000 კვ.მ. ფართზე. აგრეთვე ვერ ხდება ფართის მისამართის იდენტიფიკაცია.

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მოახერხა აღნიშნული ფართის გადამოწმება, რადგან დაწესებულების რექტორის განმარტებით, საავადმყოფოს ხელმძღვანელი არ იმყოფებოდა საქართველოში და მის გარეშე ფართის შემოწმება ვერ მოხდებოდა.

2.5. შპს – საქართველოს ეროვნულ სოციალურ–ტექნოლოგიური უნივერსიტეტსა და შპს – ქ. თბილისის ონკოლოგიურ დისპანსერს შორის გაფორმებულია შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, ,,უნივერსიტეტი არა ნაკლებ სწავლების ერთი სრული კურსის ვადით იჯარით აიღებს შპს – ქ. თბილისის ონკოლოგიური დისპანსერისაგან 700 (შვიდას) კვადრატულ მეტრ ფართს, ასევე სწავლებისათვის საჭირო სხვა მატერიალურ–ტექნიკურ საშუალებებს, განახორციელებს სწავლებას საქართველოს კანონმდებლობისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების საფუძველზე".

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ვერ იქნა საჯარო რეესტრიდან ამონაწერი, რომლითაც დადასტურდება, აქვს თუ არა დაწესებულებას სარგებლობის უფლება 700 კვ.მ. ფართზე. ვერ ხდება ფართის მისამართის იდენტიფიკაციაც.

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მოახერხა აღნიშნული ფართის გადამოწმება, რადგან დაწესებულების რექტორის განმარტებით, შპს-ს ხელმძღვანელი არ იმყოფებოდა საქართველოში და მის გარეშე ფართის შემოწმება ვერ მოხდებოდა.

2.6. ავშნიანის დასახლებაში მდებარე ფართის გადამოწმების დროს შენობაში არ იყო ელექტროენერგია. დაწესებულების რექტორის განცხადებით, ელექტროენერგიის არ არსებობა იყო დროებითი ხარვეზი და იმის დასტურად, რომ შენობაში არის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა წარმოდგენილ იქნა მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდის ქვითარი 3.10 ლარის ოდენობით (გადახდილია 2010 წლის 23 სექტემბერს) და 3.80 ლარის ოდენობით (გადახდილია 2011 წლის 22 მარტს).

2.7 დაწესებულების რექტორის განმარტებით ფართი ორივე მისამართზე თბება ელექტროღუმელებით, თუმცა მათი ფლობა დოკუმენტურად ვერ დგინდება. რექტორის განმარტებით აღნიშნული გამათბობლები მან აჩუქა უნივერსიტეტს.

2.8 უნივერსიტეტში სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით რექტორის კაბინეტში არის მცირე ზომის სეიფი, რომელშიც მოთავსებულია ბინტი, ბამბა, წყალბადი, კლოფელინი და წნევის საზომი აპარატი. ავშნიანის დასახლებაში არსებულ ერთ–ერთ ოთახში არის ტუმბო, რომლის ერთ-ერთ უჯრაშიც მოთავსებულია ბინტი, ბამბა, კლოფელინი, იოდი, კორვალოლი, კაპსიკამი, თერმომეტრი. დაწესებულებას 2011 წლის 20 მარტს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული მაია ხისფეხიშვილთან საექიმო მომსახურების გაწევის თაობაზე.

2.9 დაწესებულების რექტორის განმარტებით წესრიგს იცავენ კურატორები და მორიგე პროფესორ–მასწავლებლები, თუმცა აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილება დოკუმენტალურად არ არსებობს.

2.10 მართალია დაწესებულების ფართი ბალანჩივაძის ქ.№5–ში განთავსებულია პირველ სართულზე, მაგრამ როგორც ვიზუალური დათვალიერებით ირკვევა, შენობაში შეღწევა ხდება კიბის მეშვეობით, რომელზედაც არ არის მექანიზმები (პანდუსები) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისათვის. ამდენად შენობაში შეღწევა ასეთი ადამიანებისათვის პრაქტიკულად შეუძლებელია.

ავშნიანის დასახელებაში არის სამსართულიანი შენობა. სასწავლო ოთახები განთავსებულია პირველ და მეორე სართულზე. რექტორის განცხადებით მესამე სართულზე განთავსდება ბიბლიოთეკა. შენობაში არ არის მექანიზმები (პანდუსები) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისათვის.

2.11 დაწესებულების ბიბლოთეკას არა აქვს გამოყოფილი ცალკე ოთახი; ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი განლაგებულია კარადებში; დაწესებულების არცერთ მისამართზე არ არის აუცილებელი ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი.

2.12 დაწესებულებაში ბრძანებები აკინძულია, მაგრამ არ არის ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალში. დაწესებულებაში არის შემოსული და გასული კორესპონდენციების სარეგისტრაციო ჟურნალი, მაგრამ არ არის ზონარგაყრილი და დალუქული, ამდენად ვერ დგინდება სანდო აღრიცხვიანობა.

ზეპირ მოსმენაზე

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - საქართველოს ეროვნული სოციალურ-ტექნოლოგიური უნივერსიტეტის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

3. ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით:

3.1 აკადემიური პერსონალი თანამდებობის დაკავების წესი არ შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, კერძოდ, წესდების 7.2. პუნქტის შესაბამისად „უნივერსიტეტში თანამდებობის დაკავება ხდება კონტრაქტის გზით, რაც ყოველ სამ წელში ახლდება, ხოლო უნივერსიტეტის თანამშრომელი ყოველ წელს გადის სათანადო ატესტაციას სპეციალურ კომისიაზე".

3.2 დაწესებულებაში მოქმედი პერსონალი შერჩეულია კონკურსის შედეგად, რომელიც გამოცხადდა რექტორის 2010 წლის 1 ოქტომბრის №13 ბრძანებით. კონკურსი გამოქვეყნდა გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა" 2010 წლის 5 ოქტომბერს, თუმცა განცხადებაში მითითებული არ ყოფილა კონკურსის ვადები და პირობები. კონკურსი გამოქვეყნებულია ასევე დაწესებულების ვებგვერდზე, თუმცა საეჭვოა ვებგვერდზე გამოქვეყნებული კონკურსის ვადები. კერძოდ, ვებგვერდზე კონკურსი გამოცხადდა 2010 წლის 24 სექტემბერს, მაშინ, როცა ბრძანება კონკურსის გამოქვეყნების შესახებ გამოიცა 1 კვირის შემდეგ, 2010 წლის 1 ოქტომბერს. ვებგვერდზე მითითებული ინფორმაციის მიხედვით საბუთების მიღება უნდა მომხდარიყო 2010 წლის 24 ოქტომბრამდე, რაც ეწინააღმდეგება ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მეორე პუნქტის მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც საბუთების მიღება უნდა მოხდეს კონკურსის გამოცხადებიდან ერთი თვის შემედეგ. ვებგვერდზე მითითებული ინფორმაციის მიხედვით კონკურსის შედეგები უნდა გამოცხადებულიყო 2010 წლის 26 ნოემბერს (ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 2 თვის და 2 დღის შემდეგ), რაც ასევე ეწინააღდეგება აღნიშნულ ნორმას;

აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობით მოთხოვნებს არღვევს თავად განხორციელებული პროცედურაც, რამდენადაც საკონკურსო კომისიამ კონკურსანტები შეარჩია 2010 წლის 30 ნოემბერს, ხოლო რექტორის ბრძანებით კონკურსში გამარჯვებულ კანდიდატებს აკადემიური თანამდებობა მიენიჭათ 2010 წლის 6 დეკემბერს, რექტორის №14 ბრძანებით.

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მეორე პუნქტიდან გამომდინარე საბუთების მიღება უნდა დაწყებულიყო 2010 წლის 1 ნოემბრიდან, საბუთების მიღება უნდა დასრულებულიყო არაუადრეს 2010 წლის 14 ნოემბრისა და არაუგვიანეს 2010 წლის 21 ნოემბრისა, ხოლო კონკურსი უნდა ჩატარებულიყო არაუადრეს 21 დეკემბრისა, რეალურად კი უკვე კონკურსის შედეგები გამოცხადდა 2010 წლის 30 ნოემბერს და კონკურსანტები აკადემიურ თანამდებობაზე დაინიშნენ 2010 წლის 6 დეკემბერს.

ზეპირ მოსმენაზე, დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ არ დაურღვევია კანონმდებლობის მოთხოვნები.

საბჭომ სხდომაზე გამოიკვლია კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2010 წლის 1 ოქტომბრის №13 ბრძანება, საკონკურსო კომისიის 2010 წლის 30 ნოემბრის ოქმი და რექტორის 2010 წლის 6 დეკემბრის ბრძანება №14 კონკურსში გამარჯვებული კანდიდატებისათვის აკადემიური თანამდებობის მინიჭების შესახებ. ადგილზე შემოწმების შედეგად, საბჭომ დაადგინა, რომ დარღვეული იყო უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები.

3.3 დაწესებულებაში არსებული ყველა პროფესორი აკადემიურ თანამდებობაზე დანიშნულია რექტორის 2010 წლის 6 დეკემბრის №14 ბრძანებით, თუმცა საჭვოა აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რადგან აკადემიურ თანამდეობაზე კონკურსის შედეგად არჩეულ პირებთან ხელშეკრულებები გაფორმებულია კონკურსის ჩატარებამდე, კერძოდ:

1.ლევან რუსიშვილი – ხელშეკრულება გაფორმებულია 21.04.2010. (ჯერ კიდევ კონკურსის გამოცხადებამდე);

2.მურმან ტურავა – ხელშეკრულება გაფორმებულია 20.08.2010 (ჯერ კიდევ კონკურსის გამოცხადებამდე);

3.ოთარ წივილაშვილი – ხელშეკრულება გაფორმებულია 15.11.2010;

4.გიორგი ჭინჭარაული – ხელშეკრულება გაფორმებულია 29.11.2010;

5.რამაზ შაყულაშვილი – ხელშეკრულება გაფორმებულია 06.12.2010;

6.თინათინ ქურდაძე – ხელშეკრულება გაფორმებულია 20.11.2010;

7.თამაზ გაბისონია – ხელშეკრულება გაფორმებულია 06.10.2010; (47, 7 გვერდად).

ზეპირ მოსმენაზე

საბჭომ იმსჯელა ადამიანური რესურსის სტანდარტთან შპს - საქართველოს ეროვნული სოციალურ-ტექნოლოგიური უნივერსიტეტის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს ეროვნული სოციალურ-ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0
მოწინააღმდეგე - 6

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ” ქვეპუნქტის, 56^4-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საქართველოს ეროვნულ სოციალურ-ტექნოლოგიურ უნივერსიტეტს უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

კახი ყურაშვილი
საბჭოს თავმჯდომარე

ანა კლდიაშვილი
მდივანი

სხდომა დაიხურა 23:47სთ-ზე.